პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 145 (19587) ◆ კვირა, 22 ივნისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

# ხუთწლედის საკვანძო საკითხები

1986 წლის 16 ივნისს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხები:

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმა და პარტიული ორგანიზაციების ამოცანები მისი რეალიზაციის საქმეში;

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის 1986 წლის 10-11 ივნისის ბუდაპეშტის თათბირის შედეგები.

პლენუმზე ამ საკითხთა შესახებ მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

ღრმაშინაარსიან და უაღრესად საინტერესო მოხსენებაში საქმე ეხებოდა იმას, თუ როგორ ხორციელდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და მშვიდობის განმტკიცების გენერალური გეზი, რომელიც სკკპ XXVII ყრილობამ განსაზღვრა, შეჯამებულია ყრილობისშემდგომი მუშაობის წინასწარი შედეგები და გამოტანილია სათანადო დასკვნები, განსაზღვრულია პარტიის მორიგი ამოცანები. როგორ გადაიქცევა ჩანაფიქრების ენერგია მოქმედების ენერგიად, რა დაბრკოლებებსა და სირთულეებს წავაწყდით, როგორ ვიმოქმედოთ შემდეგ. განხილულია ხუთწლედის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის საკვანძო საკითხები. შეჯამებულია პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბუდაპეშტის თათბირის შედეგები.

ქვეყანა იმყოფება გარდაქმნის პროცესში, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავს. საზოგადოებაზე უდიდეს ზემოქმედებას ახდენს ყრილობის მითითება მასების შემოქმედების, როგორც დაჩქარების საფუძვლის, განვითარების შესახებ. იზრდება მასების შრომითი და პოლიტიკური აქტიურობა, შტკიცდება დისციპლინა და წესრიგი.

დღისახა სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპის ზრდის ტენდენცია, რაც უწინარეს ყოვლისა დაკავშირებულია ხალხის აქტიურ შრომასთან, იმ პოზიტიურ პროცესებთან, საზოგადოებაში რომ მიმდინარეობს. წელს სუთი თვის მანძილზე წარმოების მატებამ მრეწველობაში გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 5,7 პროცენტი შეადგინა. დაძაბული მუშაობა მიმდინარეობს აგრარულ სექტორში. სუთი თვის მუშაობის მიხედვით რიგიანი შედეგებია მიღწეული მეცხოველეობაში. ისინი უნდა დავამკვიდროთ. ამის მთავარი გზა, მინდვრებისა და მეცხოველეობის ფერმების დიდი პროდუქტიულობის გზა გადის ინტენსიური ტექნოლოგიების ფართო გამოყენებაზე.

ახლა ყველაზე არსებითია შევინარჩუნოთ და კვლავაც გავაძლეროთ მიღწეული ზრდის ტემპი. ეს რეალური საქმეა, მაგრამ იგი დიდ გარჯას მოითხოვს, მით უმეტეს, რომ ჩვენ ახლა მხოლოდ შევუდექით გარდაქმნას: ყველაფერი როდია გაკეთებული ორგანიზაციულად, ჯერჯერობით სრულად არ მოქმედებენ ის ეკონომიკური ბერკეტები და სტიმულები, რომლებმაც გადამწყვეტი გავლენა უნდა მოახდინონ სახალხო მეურნეობაში შემდგომი სახიკეთო ცვლილებების მიმდინარეობაზე. თვით გარდაქმნაც ჯერჯერობით ნელა მიმდინარეობს. ბევრ საწარმოში კვლავინდებურად ფეხმოკიდებულია იერიშობანა, ჯერ კიდევ არ უკუგდებს ძველი ლოზუნგი: შეასრულოთ გეგმა, რადაც უნდა დაგვიჯდეს. ხარისხის, ეფექტიანობის, ხელმძღვანელობის ახალი მეთოდებისაკენ შემობრუნება ძნელად და მტკივნეულად მიმდინარეობს. მაგრამ დღეს უაღრესად ცხადი უნდა იყოს: ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ განაგრძობს ყოველივე ჯანსაღის, ყოველივე იმის მხარდაჭერის გზს, რაც ყრილობის გადაწყვეტილებებს შეესაბამება, რაც ნამდვილად მოახწევებს გარდაქმნას, წინსვლა-განვითარებას. ასევე მტკიცედ იბრძვის პარტია ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ამ პროცესს.

არის ფაქტები, როდესაც საქმეს სიტყვით ცვლიან. ამის შედეგად იქმნება გარდაქმნის ილუზია: სიტყვით ყველაფერი რიგზეა, სინამდვილეში კი რეალური ცვლილებები არ ჩანს. ჩვენი განვითარების დაჩქარების, გარდაქმნის სერიოზული დაბრკოლებაა მართვის აპარატის მოუქნელი და არაეფექტანი მუშაობა.

ყრილობის შემდეგ მუშაობის პირველი თვეებიდან ასეთი ძირითადი დასკვნები გამომდინარეობს. ყრილობის პოლიტიკურ გეზს აქტიურად უჭერენ მხარს ტარიაში, ხალხში — ეს მთავარია; მასების შემოქმედება არ შეიძლება შეიცვალოს დირექტივებით, თუნდაც საუკეთესო დირექტივებით; სიმართლის გაკეთილი, რომელზეც ლაპარაკი იყო ყრილობაზე, პრინციპულად დადასტურდა — პარტიასა და ხალხს სჭირდება მთელი სიმართლე, დიდზიც და მცირეზიც.

პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის, დაჩქარების სტრატეგიის რეალიზაციაში, წარმოების ინტენსიფიკაციაში მეთორმეტე ხუთწლედს განსაკუთრებული როლი აკისრია. იმაზე, როგორი საძირკველი ჩაეყრება ამ ხუთ წელიწადში სახალხო მეურნეობის ძირეულ გარდაქმნას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, დამოკიდებული იქნება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპი, ხალხის კეთილდღეობის დონე. გეგმით მაღალი მიჯნებია დასახული. ისინი ითვალისწინებენ აგრეთვე ახალ მიდგომას ეკონომიკური ზრდის წყაროებისადმი. მათგან განმასაზღვრელია წარმოების ეფექტიანობის ძირეული გადიდება, მისი ინტენსიფიკაცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე.

ფართო მასშტაბით გაიშლება წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. ამის შედეგად გაუმჯობესდება შრომის პირობები და 1990 წლისათვის ხელის შრომისაგან განთავისუფლდება 5 მილიონზე მეტი კაცი, რაც ორჯერ და მეტად სჭარბობს გასული ხუთწლედის მაჩვენებლებს. დიდი ღონისძიებები ხორციელდება ენერგეტიკული და მატერიალური რესურსების დაზოგვისათვის.

ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების საფუძველზე დასახულია განხორციელდეს ვრცელი სოციალური პროგრამა. გაიზრდება მოსახლეობის რეალური შემოსავალი, გაუმჯობესდება სურსათი, სახალხო მოხმარების საქონლით მომარაგება, გაფართოვდება მომსახურების სფერო, გაგრძელდება მუშაობა ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სრულყოფისათვის.

ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას დასახულია მოხმარდეს ეროვნული შემოსავლის დაახლოებით ოთხი მეხუთედი. საჭირო დონეზე იქნება უზრუნველყოფილი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერებაც.

ესოდენ გრანდიოზული გეგმების შესასრულებლად საჭირო დაჯდეოთ ნეგატიური ტენდენციები ეკონომიკაში, აღინიშნა პლენუმზე. არ უნდა გავიმეოროთ წარსულის შეცდომები, უნდა უარვყოთ ახალი საწარმოების აგების უსაფუძვლო გადიდებანი და მოქმედ საწარმოთა საჭიროებების, ყველაზე თანამდროვე მეცნიერულ-ტექნიკურ ბაზაზე მათი განახლების, რეკონსტრუქციის აუცილებლობის უგულებელყოფის დამკვიდრებული პრაქტიკა. საჭიროა დავძლიოთ ნაკლოვანებანი საინვესტიციო პოლიტიკაში, რომლებმაც დიდად საზიანო გავლენა მოახდინეს მანქანათმშენებლობის დარგების განვითარებასა და ტექნიკურ დონეზე. არადა მანქანათმშენებლობა ხომ წარმოებაში ტექნიკური პროგრესის საფუძველი, მისი ლერძია.

პლენუმმა განსაკუთრებული ძალით აღნიშნა, რომ საჭიროა საინვესტიციო და სტრუქტურული პოლიტიკის ხელახალი ორიენტაცია: კაპიტალდაბანდებათა წილის გადიდება მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ განახლებაში, მანქანათმშენებლობის განვითარების დაჩქარება, საინვესტიციო ციკლის შეკვეცა.

წარმოების განვითარების დაჩქარების, მისი ინტენსიფიკაციის მიზნით პარტიამ და მთავრობამ მიიღეს მთელი რიგი დადგენილებანი: მეტალურგიის ძირეული რეკონსტრუქციის შესახებ, სახალხო მეურნეობის შემდგომი ქიმიზაციის, მანქანათმშენებლობის მოდერნიზაციის, გამოთვლითი ტექნიკის დაჩქარებული განვითარების, მოქნილი საწარმოო სისტემების, როტორული ხაზების, ავტომატიზებული დაპროექტების სისტემების დანერგვის, კაპიტალური მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის სრულყოფის შესახებ. განსაზღვრულია რესურსების დაზოგვის დარგში მუშაობის ძირითადი მიმართულებანი. უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებას. ამოცანა ის არის, რომ განუხრელად შეეასრულოთ ეს დადგენილებები.

მეთორმეტე ხუთწლედში ჩვენი წარმატებები ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ სრულდყოფთ მართვას, მთელ სამეურნეო მექანიზმს.

აქ მთავარია დავძლიოთ ჩვენი ეკონომიკის ხარჯვითი ხასიათი, უარი ვთქვათ, „მთლიან მაჩვენებელზე", როგორც საწარმოების, გაერთიანებების, სამინისტროებისა და უწყებების, მთელი სახალხო მეურნეობის მუშაობის ძირითად საგეგმო და საანგარიშო მაჩვენებელზე.

„...მთლიანი მაჩვენებლის" გადიდებისათვის — თქვა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვმა, — ხშირად იყენებენ ძვირადღირებულ მასალებს, იზრდება

ПРАВДА 21 ივნისის მოწინავე

მანქანების წონა, მატულობს ტონაჟილომოტრები, იბერება შიდასამეურნეო ბრუნვა და ა. შ. ჩვენ ვიბრძვით ეფექტიანობისათვის, მაგრამ ნახეთ, რა ნამდვილად სულელურ სიტუაციაში ვარდებიან სამეურნეო ხელმძღვანელები: დაამზადეს იაფი ნაწარმი — შეახურეს იმისათვის, რომ დააკელეს ბრუნვაცია მანეთობით, დინერგეს სიახლე, დაზოგეს რესურსები — საწარმო, მთელი დარგიც კი კვლავ არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენეს".

მილიონობით მშრომელის აქტიურობა, სახალხო შეოქმედების — დაჩქარების გადამწყვეტი ძალის — გაჯანება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოქმედებენ პარტიული ორგანიზაციები. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტიული მუშაობის ცენტრში დავაყენებთ ადამიანს, შეიძლება ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტა. ადამიანებისაკენ, ცოცხალი საქმისაკენ შემობრუნება პარტიული მუშაობის ძირეული გარდაქმნის მთავარი აზრია.

ყრილობის შემდეგ განვლილმა თვეებმა ცხადყო, რომ გარდაქმნის იდეებს გაგებით შოკიდა პარტიული კადრების უმრავლესობა. ეს იდეები ახლა ხორცს ისხამს. უფრო სწრაფად, მეტი გაგებით წყდება ბევრი პრაქტიკული საკითხი. გაიზარდა გულახდილობისა და პრობლემების დაყენებაში სიმწყვანის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის დონე. „მაგრამ ბევრგან, — აღინიშნა პლენუმზე, — ყველაფერი ძველებურადაა: ინიციატივა აწყდება გულგრილობის კედელს, ზოგჯერ კი აშკარა წინააღმდეგობასაც".

პარტიულ წრეში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი წარმოდგენა, თითქოს ყრილობის მითითებები ეხება დიდი პოლიტიკის სფეროს, პრაქტიკული მუშაობა კი თავისი ჩვეული, გაკვალული გზით უნდა წარმართოს.

არ ნელდება პარტიული ორგანოების მისწრაფება იკისრონ მართვის ფუნქციები, შეასრულონ დისპეტჩერის მოვალეობანი ნაცვლად იმისა, რომ ითვისებდნენ ხელმძღვანელობის პოლიტიკურ მეთოდებს, მუშაობდნენ შრომითს კოლექტივებში, ადამიანებთან. თავს იჩენს ბიუროკრატიზმი — ადმინისტრირების ღვიძელი ძმა, მართვაში მასების ფართო მონაწილეობის აშკარა მოწინააღმდეგე. მართვის ორგანოებს, გარკვეულწილად პარტიულ ორგანოებსაც ჯერ კიდევ არ აუღიათ ხელი ქაღალდთმთხზველობაზე, ადამიანებთან კი არა, ქაღალდებზე მუშაობის ჩვეულებზე, და ადამიანებსაც ქაღალდების მეშვეობით უყურებენ.

პლენუმმა მოგვიწოდა გადაჭრით ვებრძოლოთ ამგვარ მოვლენებს, გავაძლეროთ კრიტიკული მსჯელობა ყრილობის სულისკვეთებით. ჩვენ გვჭირდება პრინციპული კრიტიკა, რომელსაც აქვს ზუსტი მისამართი, ავლენს ნაკლოვანებებისა და ხარვეზების მიზეზებს, მათი დაძლევის ხერხებს, კრიტიკა, რომელიც ხელს უწყობს მოუსვენრობის, მიღწეულით ჯანსაღი დაუკმაყოფილებლობის სულისკვეთებას. უამისოდ ვერავითარი გარდაქმნა ვერ მოხდება.

დაჩქარების კონცეფცია განუყოფელია აქტიური საკადრო პოლიტიკისაგან. კვლავაც უნდა გავაუმჯობესოთ კადრების მომზადება, განაწილება და გადამზადება დროის მოთხოვნების სულისკვეთებით, დავფასოთ და მხარი დავუჭიროთ ნოვატორული სულისკვეთების, მაძიებელ, შემოქმედ ადამიანებს.

კვლავაც მტკიცედ და დაუცხრომლად უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ ჩვენს საზოგადოებაში ჯანსაღი ატმოსფერო მტკიცდებოდეს, ღრმად იდგამდეს ფესვს. ამასთან დაკავშირებით ყველაზე გადაუდებელ ამოცანათა შორის არის კვლავ ბრძოლა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ. ყოველმხრივ ვიანალიზებთ რა პაგიოსან და კეთილსინდისიერ შრომას, უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა უშრომელი შემოსავლის, ყველა პარაზიტული ელემენტის წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს იცხოვროს სხვების, საზოგადოების ხარჯზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოხსენებაში აღინიშნა დიდი წვლილი, რომელიც პრესას, ტელევიზიასა და რადიოს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეაქვთ გარდაქმნის პროცესში. ახლა განსაკუთრებით საჭიროა, რომ ჩვენი პრესა მყისვე ამჩნევდეს ახლას, მოწინავის ყველა ტალღს, რომლებსაც გარდაქმნა შობს ცხოვრების ყველა სფეროში, ხელს უწყობდეს იმას, რომ ისინი საყოველთაო კუთვნილება ხდებოდეს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ობიექტურობა, დიდი მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა პარტიული პრესის უცილობელი პრინციპებია, რომლებიც მის ავტორიტეტს უზრუნველყოფენ.

მ. ს. გორბაჩოვმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ბევრ ადგილობრივ გაზეთში საჯაროობის, ქმედითობის დონე ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება ცენტრალურ პრესას. აქ შეინიშნება პარტიული კომიტეტების პოზიციებთან პირდაპირი კავშირი. მაშასადამე, საჭიროა სწორი, თვითკრიტიკული დასკვნები პარტიულ კომიტეტებშიც და რედაქციებშიც.

სოციალურ-ეკონომიკურ და სულიერ სფეროებში ამოცანათა სირთულესთან დაკავშირებით იდეოლოგიური მუშაობისადმი მოთხოვნები კიდევ უფრო გაძლიერდა. პარტიის ცენტრალური კომიტეტი იმედს ამყარებს იდეოლოგიური ფრონტის შემდგომ გააქტიურებაზე, საერთო საქმისათვის მილიონთა შემოკავშირებელი მართალი იდეების დამრაზმველ ძალაზე.

პლენუმის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების მთლიანი და გადაჭარბებით შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. „ისე ვიმუშაოთ, — ნათქვამია მიმართვაში, — რომ მატერიალურად და სულიერად უფრო მდიდრულად ცხოვრობდნენ საბჭოთა ადამიანები, განუხრელად მტკიცდებოდეს ქვეყნის ეკონომიკა, მტკიცე იყოს მისი თავდაცვითი ფარი. პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახულ გზაზე ყოველი ჩვენი წარმატება ახალი ნაბიჯია ქვეყნად სოციალიზმის პოზიციებისა და მშვიდობის საქმის განმტკიცების გზაზე".

შეაჯამა რა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბუდაპეშტის თათბირის შედეგები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ სკკპ XXVII ყრილობამ დასახა კაცობრობის წინაშე წამოჭრილ პრობლემათა გადაჭრის გონივრული გზები.

მათგან უმნიშვნელოვანესია ომისა და მშვიდობის პრობლემა. მშვიდობის სასარგებლოდ ამ პრობლემის გადაჭრის გზა გადის ყველასთვის ხელსაყრელ ფართო საერთაშორისო თანამშრომლობაზე; განიარაღებასა და ბირთვული იარაღის ლიკვიდაციაზე. სწორედ ასეთია ჩვენი კურსი საერთაშორისო ასპარეზზე.

საბჭოთა კავშირმა განახორციელა ღონისძიებანი, რათა ეენერგიულად მომდინარე პოლიტიკური გეზი არ დაკარგულიყო. სამე ეხება საუკუნის დამლევისათვის ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის კონკრეტულ გეგმას, ბირთვული აფეთქებების მორატორიუმს, წინადადებებს ქიმიური იარაღის მოსპობის შესახებ. ეს ინიციატივები მუშაობდნენ და იმუშავებენ საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღებისათვის.

იმპერიალიზმის მმართველმა წრეებმა, და უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ საბჭოთა ინიციატივებში დაინახეს მძლავრი დარტყმა თავიანთი იმპერიული ჩანაფიქრების განხორციელების გზაზე, რომელთა მიზანია მსოფლიო ბატონობის მიღწევა და სოციალური რევანში. ისინი იმედს ამყარებენ შესაძლებლობაზე, თუნდაც ილუზიურზე, ხელი შეუშალონ ჩვენი გეგმების განხორციელებას, დაამუხრუჭონ სოციალისტური ქვეყნების განვითარება, გადაგვაცდინონ სკკპ XXVII ყრილობის კურსიდან. შეგვბორკონ გამალებული შეიარაღების ხუნდებით.

ამ საშიში ზრახვების ჩაშლა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი უნდა იყოს. იგი კვლავაც განუხრელად განახორციელებს თავის ინიციატივებს, რომლებიც ჩვენი ხალხის, პლანეტის ყველა ხალხთა ღვიძლ ინტერესებს შეესაბამება. მაგრამ ჩვენ არასდროს არ დავუშვებთ ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვულრაკეტულ უპირატესობას. და აქ ჩვენი ლენინური საგარეო-პოლიტიკური კურსი, ჩვენი თავდაცვითი ძლიერება ეურდნობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიის საიმედო ბაზას.

ბუდაპეშტში გამართული პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის დროს მთლიანად დაუჭირეს მხარი სკკპ XXVII ყრილობის, სხვა მოძმე პარტიების ყრილობების საგარეო-პოლიტიკურ კურსს მშვიდობის განმტკიცებისათვის, მახობრივი მოსპობის იარაღის ლიკვიდაციისათვის, საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნისათვის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთობლივ ინიციატივას ევროპაში — ატლანტიკიდან ურალამდე — შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების ფართო მასშტაბით შემცირების თაობაზე.

ბუდაპეშტში კიდევ ერთხელ გამოვლინდა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობა, შემოქმედებითი თანამშრომლობა. ეს თანამშრომლობა ამდიდრებს სოციალიზმის საერთაშორისო პოლიტიკას, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს მის მოქმედებას საერთაშორისო ასპარეზზე.

პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომელშიც მთლიანად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მეთაურობით საბჭოთა დელეგაციის საქმიანობა და თათბირზე მიღებული დოკუმენტები.

18-19 ივნისს გაიმართა სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია. მოხსენება „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმა" გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა ეს გეგმა. ამიერიდან გეგმა კანონია.

ხუთწლიანი გეგმა პარტიული კომიტეტების, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, ხელმძღვანელი კადრების მოქმედების კონკრეტული პროგრამაა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების შესახებ. სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა ადამიანები, რომლებმაც გონებითა და გულით აღიქვეს სკკპ XXVII ყრილობის აღმშენებლობითი იდეები, უზრუნველყოფენ მეთორმეტე ხუთწლედის ამოცანათა წარმატებით შესრულებას.

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 20 ივნისს გამართულ სხდომაზე განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების უპირველეს ღონისძიებათა საკითხი. პარტიულ კომიტეტებს, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს დაევალათ განახორციელონ ფართო წრის პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულება, მშრომელების, ყველა შრომითი კოლექტივის დარაზმვა მეთორმეტე ხუთწლედის მასშტაბურ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, მასების შემოქმედებითი აქტიურობის განვითარებას, რაც საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. პოლიტბიურომ შესაბამის პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს დაავალა განიხილონ და განახორციელონ ივნისის პლენუმის მონაწილეთა მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციის ღონისძიებანი.

პოლიტბიურომ მოიწონა სკკპ XXVII ყრილობის მითითებების შესაბამისად შემუშავებული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერება. იგულისხმება, რომ არსებითად უნდა გაფართოვდეს რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების უფლებამოსილება საქვეუწყებო ტერიტორიაზე მეურნეობის კომპლექსური და ეფექტიანი გაძღოლის უზრუნველყოფაში, იმ საკითხთა გადაწყვეტისას საწარმოებთან და ორგანიზაციებთან მათ ურთიერთობაში, რომლებიც ეხება სოციალურ სფეროს, შრომითი რესურსების გამოყენებას, მშრომელთა მომსახურებას და ბუნების დაცვას.

უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოების როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას მოსახლეობის სხვადასხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, კვების პროდუქტებით, უწინარეს ყოვლისა ადგილობრივი წარმოების ხარჯზე მისი უფრო სრული უზრუნველყოფის საქმეში. დასახულია მნიშვნელოვნად გაიზარდოს საბჭოების დაინტერესება და გაფართოვდეს მათი შესაძლებლობანი სახალხო მოხმარების საქონლის დამატებითი წარმოების, მოსახლეობის მომსახურების ორგანიზაციაში, საწარმოო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების საექსპლოატაციოდ ურთიერთდაკავშირებული გადაცემის უზრუნველყოფაში, სხვა იმ საკითხთა გადაწყვეტაში, რომლებიც ადამიანთა ინტერესებს ეხება.

აღინიშნა, რომ კიდევ უფრო უნდა გავაქტიუროთ საბჭოების ორგანიზატორული მუშაობა. განვავითაროთ დემოკრატიული საწყისები მათ საქმიანობაში, მაქსიმალურად გამოვიყენოთ საბჭოების შესაძლებლობანი ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის მასების დარაზმვაში.

პოლიტბიურომ განიხილა მიმდინარე ხუთწლედში გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა წარმოების განვითარების საკითხი. ამ საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებაში განსაზღვრულია ღონისძიებანი, რათა ფართო ნომენკლატურით გამოუშვან ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების პერსპექტიული ტიპები და საპროგრამო-ტექნიკური კომპლექსები ისეთ დიდმნიშვნელოვან დარგებში გამოსაყენებლად, როგორიცაა ავტომატიზებული დაპროექტების სისტემები, მოქნილი საწარმოო სისტემები, ტექნოლოგიური პროცესების მართვა, სამეცნიერო-კვლევის ავტომატიზაცია. დადგენილი დავალებების მიზანია გამოთვლითი ტექნიკისა და ავტომატიზებული სისტემების შექმნის, წარმოების განვითარებისა და ეფექტიანი გამოყენების საერთო-სახელმწიფო პროგრამის რეალიზაცია. მათი შესრულება მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესაბამისი პროგრამების განხორციელებასთან.

პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს აგრეთვე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და საერთაშორისო პოლიტიკის, პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების ზოგიერთი სხვა საკითხი.

## სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

# მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებმა, პარტიის მიერ დასახულმა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსმა საბჭოთა ადამიანების ერთსულოვანი მხარდაჭერა და მოწონება ჰპოვა. ისინი აქტიურად ჩაებნენ წარმოების ინტენსიფიკაციის დასახული გეგმების განხორციელებაში. ბევრი მშრომელი, იცავს რა დამკვრელობისა და სტახანოვური მოძრაობის ტრადიციებს, იჩენს შემოქმედებითს ინიციატივასა და ნოვატორობას, აყენებს საყურადღებო წინადადებებს შრომის ორგანიზაციის, ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფის, მეურნეობრიობის ეკონომიკური მეთოდების დანერგვის თაობაზე.

ფართოდ ვრცელდება მოსკოვისა და ლენინგრადის, გაერთიანება „ვოლგის საავტომობილო ქარხნის" მოწინავე კოლექტივების გამოცდილება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მეთხებით წარმოების მოცულობის გადიდების საქმეში; უკრაინის საწარმოებისა და ორგანიზაციებისა — მეორეული რესურსების ეფექტიანი გამოყენების საქმეში; ბელორუსიის რკინიგზელთა — შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის დაჩქარების საქმეში. ნოეოსიბირსკის, სვერდლოვსკის და ხარკოვის ოლქების მთელი რიგი მანქანათმაშენებელი საწარმოების კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს მეთორმეტე ხუთწლედში მთლიანად გადავიდნენ ძირითადი პროდუქციის ბამოშვებაზე, რომელიც ტექნიკური დონითა და ხარისხით აღემატება საბჭოურ და მსოფლიო ნიმუშებს. აზერბაიჯანის, ლატვიის, ესტონეთის, არხანგელსკის, კამჩატკის, სარატოვის, ტომსკის ოლქების მშენებლებმა გააჩაღეს მოძრაობა საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების საექსპლოატაციოდ რიტმული გადაცემისა და მაღალი ხარისხისათვის, ხოლო ლიპეცკისა და ჩელიაბინსკის ოლქების მშენებლებმა — მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების დაჩქარებისათვის. ალტის, კრასნოდარის, სტავროპოლის მხარეების, კურგანისა და ორიოლის ოლქების მოწინავე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოების კოლექტივებმა, რომლებიც ნერგავენ სამეურნეო ანგარიშსა და კოლექტიურ იჯარას, გადაწყვიტეს იმუშაონ თვითანაზღაურებით. ბევრმა მუშამ ვალდებულება იკისრა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისთვის შეასრულოს შრომის ნაყოფიერების ზრდის ხუთწლედის ორი წლის გეგმა, ამასთან უზრუნველყოს პროდუქციის საუკეთესო ხარისხი. ატაკური მხარდაჭერის პოულობს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების ინიციატივა— წელს სულ ცოტა ოთხ თვეზეა ნაანგარიშევი ფასიანი დღეები ბინების, სკოლების, საავადმყოფოების, კლუბების, სპორტული ნაგებობების მშენებლობაზე.

შრომითი და სოციალისტური შეჯიბრება ეფექტიანობის ამაღლებისა და ეფექტიანი ტექნიკის, ავტომატიზაციისა და ეფექტიანი ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვის, ეკონომიკური ბერკეტების ეფექტიანობის ამაღლების

# მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის

# საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

(დასასრული)

1. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოზაციებმა, საბჭოთა ადამიანების შრომითისა და საზოგადოებრივ ინიციატივაზე დაყრდნობით, გაშალონ მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, რათა განავითარონ საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, უზრუნველყონ შეჯიბრებაში ყველა მუშის, კოლმეურნის, ინჟინერ-ტექნიკური და მეცნიერი მუშაკის, პაეციალისტისა და მოსამსახურის, ბრიგადების, უბნების, განყოფილებებისა და ფერმების, საწარმოების, გაერთიანებების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების კოლექტივების, სტუდენტური რაზმების აქტიური მონაწილეობა.

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში ცენტრალური ამოცანაა ქალაქებისა და სოფლების მილიონობით მშრომელის ინიციატივა და შემოქმედება მოახმარონ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში დასახული მიზნების მიღწევას. ყოველი ღონე იხმარონ, რათა არც ერთი შრომითი თაოსნობა არ დარჩეს უყურადღებოდ და მხარდაჭერის გარეშე. ყოველნაირად განავითარონ შრომითი მეტოქეობა — ინდივიდუალური და კოლექტიური, ამხანაგური ურთიერთდახმარება. უკეთ გამოიყენონ შეჯიბრების შესაძლებლობანი დაკისრებული საქმისათვის დიდი პასუხისმგებლობის, კოლექტივიზმის, უყაირათობისა და მფლანგველობისადმი, ლოთობისა და დატაცებისადმი, სოციალისტური მორალის ნორმების ყოველგვარი დარღვევისადმი შეუწყნარებელი დამოკიდებულების სულისკვეთებით ყოველი მისი მონაწილის აღზრდისათვის.

შეჯიბრების მთავარ მიზნად მიიჩნიონ შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი გაზრდა, პროდუქციის ხარისხის გუმჯობესება, ყველა სახეობის რესურსების დაზოგვა, სახელშეკრულებო ვალდებულებათა უთუო შესრულება, შრომის დისციპლინის განმტკიცება. შეჯიბრებულთ მიზნად დუსახონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მეშვეობით უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით მსოფლიო დონის გადაჭარბება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი საჭიროდ მიიჩნევენ საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა მეცადინეობა მოხმარდეს:

**მუშების, კოლმეურნეების, ბრიგადების კოლექტივებისა** — გამომუშავების გადიდებას, მეცალი პროდუქციის მაღალი ხარისხით გამოშვებას, მომჭირნეობასა და ყაირათიანობას, ნედლეულის, მანქანებისა და მოწყობილობის ეფექტიან გამოყენებას, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ათვისებისა და დანერგვაში, ტექნიკურ შემოქმედებაში აქტიური მონაწილეობას, შრომის, ტექნოლოგიური და საწარმოო დისციპლინის მკაცრ დაცვას;

**ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და სპეციალისტებისა** — წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენების დაჩქარებას. ტექნიკისა და ტექნოლოგიის, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფას, შრომატევადი და მასალატევადი პროდუქციის შემცირებას, შრომითი კოლექტივების გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების საინჟინრო უზრუნველყოფას, შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შექმნას.

**გაერთიანებების, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციების კოლექტივებისა** — დარგში შრომის ნაყოფიერების უმაღლესი დონის მიღწევას, ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვებას გადიდებას, მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვას, წარმოების რიტმულობის, ტექნოლოგიური დისციპლინის უზრუნველყოფას, სამუშაო დროის დანაკარგების შემცირებას, ფონდუკუგების გადიდებას, მოწოდების, ახალი დიდადფექტიანი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შემუშავებისა და დანერგვის ყველა სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების, სასაღრო მოხმარების საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის ყოველმხრივ გადიდებას, მშენებლობის ნორმატიული ვადების, შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, მშრომელთა საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას;

**სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების კოლექტივებისა** — ახალ თაობათა ტექნიკის, ეფექტიანი ტექნოლოგიური და კონსტრუქციული გადაწყვეტილების სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და პირუტყვის დიდპროდუქტიული ჯიშების შექმნას, ამ დარგში მსოფლიოში მოწინავე პოზიციების მიღწევას, წარმოებაში ნამუშევრების დანერგვის ვადების შემცირებას;

**ქალაქების, რაიონების, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების მშრომელებისა** — ეკონომიკური და სოციალური ამოცანების კომპლექსურ გადაწყვეტას, ეგზოფალური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების განხორციელებას, საწარმოო და სამეცნიერო პოტენციალის, მიწის, შრომითი, მატერიალური, მეორეული რესურსების ეფექტიან გამოყენებას, კაპიტალური მშენებლობის სრულყოფას, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გაფართოებასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებას, სურსათის წარმოების გადიდებას, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო, ტატანსპორტო, სამედიცინო და სხვა სახეობათა მომსახურების გაუმჯობესებას, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობას.

2. სამინისტროებმა, უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სამეურნეო ორგანოებმა ამაღლონ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის დონე, განავითარონ შრომითი კოლექტივებისა და ცალკეული მუშაკების მისწრაფება, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი რეზერვები, მიაღწიონ უმაღლეს მიზნებს. ამ მუშაობაში უფრო მტკიცედ დაეყრდნონ მეურნეობრიობისა და მართვის პროგრესულ მეთოდებს, სამეურნეო ანგარიშსა და კოლექტიურ იჯარას, წახალისების მატერიალური და მორალური ფორმების შეხამებას.

უზრუნველყონ სოციალისტურ ვალდებულებათა ყოველმხრივი ეკონომიკური დასაბუთება, რომლებიც უნდა გახდეს დაძაბული გეგმების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი საშუალება. მხარი დაუჭიროონ შრომითი კოლექტივების ინიციატივას წლიურ გეგმებში ვალდებულებების (შემხედარი გეგმების) შეტანის თაობაზე.

წაახალისონ აგრეთვე შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, რესურსების დაზოგვის, შინაგანი რეზერვების ხარჯზე საწარმოო და სოციალური საკითხების გადაწყვეტის დამტკიცებული გეგმების გადაჭარბებით ვალდებულებათა მიღება.

მტკიცედ და თანამიმდევრულად განახორციელონ სოციალური სამართლიანობის პრინციპი შრომითი წვლილის შეფასებისა და შეჯიბრებულთა წახალისების დროს, არ დაუშვან გათანაბრება. გააძლიერონ შეჯიბრების მონაწილეთა მატერიალური წახალისების ქმედითობა, უფრო სრულად გამოიყენონ ამისათვის სტიმულირების ყველა ფორმა და სისტემა, რომლებიც ხორციელდება ხელფასის ფონდის, მატერიალური წახალისების ფონდისა და სპეციალური სახსრების ხარჯზე. რეკომენდაცია მისცენ შრომითს კოლექტივებს გაზარდონ პრემიების ოდენობა სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკავებული ადგილების გათვალისწინებით; უპირატესობა მიანიჭონ იმათ, ვინც სტაბილურად აღწევს საუკეთესო შედეგებს წლისა და ხუთწლედის დამდეგიდან. პირობების შექმნის კვალობაზე საქმე ისე წარმართონ, რომ საწარმოებსა და ორგანიზაციებში პრემირების სისტემა პირდაპირ იყოს დაკავშირებული სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეულ წარმატებებთან.

შეჯიბრების გამარჯვებულებს მიანიჭონ უპირატესობა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან სიკეთეთა განაწილებისას. დაეწესონ, რომ 1987 წლიდან საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულ კოლექტივებს ზოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდში ანარიცხები გაუფიდდეთ 25 პროცენტით, ხოლო დარგობრივში — 15 პროცენტით ზემდგომი ორგანიზაციის რეზერვის (ცენტრალური ფონდის) ხარჯზე.

ყოველმხრივ გაზარდონ შეჯიბრებაში მორალური ფაქტორის როლი. დროულად შენიშნონ, მხარი დაუჭირონ და განადიდონ მუშების, კოლმეურნეებისა და საეციალისტების შემოქმედებითი ინიციატივა, კეთილსინდისიერი შრომა, პროფესიული ოსტატობა. ყველაზე წარჩინებულნი წარადგინონ სახელმწიფო ჯილდოებზე. მოწინავეთა სახელები და საქმენი ცნობილი უნდა გახდეს შრომითს კოლექტივში, დარგში, რესპუბლიკასა და ქვეყანაში. გააფართოონ და გააძლიერონ შეჯიბრების, მისი ამოცანების, მიმდინარეობისა და შედეგების საჯაროობა. პირატიულად გაიცნონ შეჯიბრებულთ მოწინავე გამოცდილება, დაეხმარონ, რათა მათ თავიანთი საქმიანობის შედეგები შეუდარონ სხვა კოლექტივებისა და მუშაკების მიღწევებს, გამოავლინონ ზოგიერთის წარმატებისა და ზოგიერთის ჩამორჩენის მიზეზები. უფრო ეფექტიანად გამოიყენონ ამ მიზნით პრესა, რადიო, ტელევიზია, სანფორმაციო-პრომაგანდისტული მუშაობის, ზეპირი და თვალსაჩინო აგიტაციის სხვადასხვა საშუალება და ფორმა. საჯაროობის, შეფასებისა და სტიმულების მთელმა სისტემამ კოლექტივებში უნდა შექმნას ატმოსფერო, რომელიც ხელს შეუწყობს დიდეფექტიან, შემოქმედებითს შრომას, ადამიანის უნარის სრულ გამოვლინას, მის იდეურ-ზნეობრივ აღზრდას.

3. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა, საკავშირო პროფსაბჭომ, სამინისტროებმა, უწყებებმა და დარგობრივი პროფკავშირების ცენტრალურმა კომიტეტებმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სამეურნეო ორგანოებმა აამაღლონ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის დონე, განავითარონ შრომითი კოლექტივებისა და ცალკეული მუშაკების მისწრაფება, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი რეზერვები, მიაღწიონ უმაღლეს მიზნებს. ამ მუშაობაში უფრო მტკიცედ დაეყრდნონ მეურნეობრიობისა და მართვის პროგრესულ მეთოდებს, სამეურნეო ანგარიშსა და კოლექტიურ იჯარას, წახალისების მატერიალური და მორალური ფორმების შეხამებას.

უზრუნველყონ სოციალისტური ვალდებულებათა ყოველმხრივი ეკონომიკური დასაბუთება, რომლებიც უნდა გახდეს დაძაბული გეგმების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი საშუალება. მხარი დაუჭიროონ შრომითი კოლექტივების ინიციატივას წლიურ გეგმებში ვალდებულებების (შემხედარი გეგმების) შეტანის თაობაზე.

წაახალისონ აგრეთვე შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, რესურსების დაზოგვის, შინაგანი რეზერვების ხარჯზე საწარმოო და სოციალური საკითხების გადაწყვეტის დამტკიცებული გეგმების გადაჭარბებით ვალდებულებათა მიღება.

მტკიცედ და თანამიმდევრულად განახორციელონ სოციალური სამართლიანობის პრინციპი შრომითი წვლილის შეფასებისა და შეჯიბრებულთა წახალისების დროს, არ დაუშვან გათანაბრება. გააძლიერონ შეჯიბრების მონაწილეთა მატერიალური წახალისების ქმედითობა, უფრო სრულად გამოიყენონ ამისათვის სტიმულირების ყველა ფორმა და სისტემა, რომლებიც ხორციელდება ხელფასის ფონდის, მატერიალური წახალისების ფონდისა და სპეციალური სახსრების ხარჯზე. რეკომენდაცია მისცენ შრომითს კოლექტივებს გაზარდონ პრემიების ოდენობა სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკავებული ადგილების გათვალისწინებით; უპირატესობა მიანიჭონ იმათ, ვინც სტაბილურად აღწევს საუკეთესო შედეგებს წლისა და ხუთწლედის დამდეგიდან. პირობების შექმნის კვალობაზე საქმე ისე წარმართონ, რომ საწარმოებსა და ორგანიზაციებში პრემირების სისტემა პირდაპირ იყოს დაკავშირებული სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეულ წარმატებებთან.

3. ს. გორბაჩოვმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ცხოვრების დემოკრატიზაცია მოითხოვს გარდაქმნას, უძრაობის მოვლენათა დაძლევას ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციაშიც, მათ შორის შემოქმედებითს კავშირებშიც, აქაც არ უნდა დავუშვათ ინერცია, თვითმყოფელება, ბიუროკრატიზმი. საბჭოთა ლიტერატურა ხალხის ხორცი ხორცთაგანია, ხალხის ინტერესებს, პარტიის ინტერესებს არის შერწყმული.

აზრთა გაზიარებაში მონაწილეობდნენ გ. მარკოვი, გ. ბაკლანოვი, ა. ჩაკოვსკი, ნ. გრიბაჩოვი, ს. ზალიგინი, ე. ისაევი, ი. ბონდარევი, ს. მიხალკოვი, ა. ანანიევი, ა. ვოზნესენსკი, თ. კუზნეცოვი, ა. ივანოვი, ვ. კარპოვი, ო. გონჩარი, მ. შატროვი, ჰ. ბოროვიკი, გ. აბაშიძე, რ. ჰამზათოვი, ა. დემენტიევი. მათ თქვეს, რომ საბჭოთა შემოქმედმა ინტელიგენციამ გულწრფელად მოიწონა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის პარტიის თანამიმდევრული მეცადინეობა, აღნიშნეს, რომ მშვიდობისმოყვარულ საბჭოთა ინიციატივებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდისათვის, რომ ეს ინიციატივები უაღრესად ადამიანური და ჰუმანურია.

შეხვედრის მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს მხატვრული შემოქმედების საჭირბოროტო საკითხთა განხილვას. შეეხნენ რა სულიერი სფეროს, მათ შორის ლიტერატურისა და ხელოვნების მზარდ როლს საზოგადოების ცხოვრებაში, მათ თქვეს, რომ საჭიროა ამაღლდეს მისი თვისებრივი დონე, ხაზი გაუსვეს შემოქმედი მოქალაქის მაღალ დანიშნულებას, მის პასუხისმგებლობას საზოგადოების ზნეობრივი სიჯანსაღისათვის საბჭოთა კულტურის ბედისათვის. ორატორებმა აღნიშნეს, რომ ქვეყნის შემოქმედი ინტელიგენცია ხალისითა და ენთუზიაზმით ებმება მუშაობაში ახალ პირობებში, ცდილობს დაძლიოს ნეგატიური მოვლენები თავის წრეში, უფრო მკაცრად მოეკიდოს შემოქმედებითი შრომის შედეგების შეფასებას. ამ პოზიციებიდან განიხილეს ლიტერატურული კრიტიკის, საგამომცემლო საქმის, ლიტერატურული ბეჭდვითი სიტყვის საქმიანობის საჭირბოროტო პრობლემები.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ი. პ. ვორონოვი.

(საკდესი).

# ᲠᲝᲪᲐ ᲗᲘᲥᲛᲐ ᲡᲯᲝᲑᲡ ᲐᲠᲐᲗᲘᲥᲛᲐᲡᲐ

# ᲔᲠᲗᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲠᲝᲑᲘᲗ...

### ᲔᲡᲛᲐᲣᲠᲔᲑᲘᲐᲜ „ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲨᲘ“ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲣᲜᲔᲑᲣᲚ ᲚᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ

**ᲪᲘᲪᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ** გამგეობამ გულდასმით შეისწავლა და განიხილა გაზეთ „კომენისტის“ 11 ივნისის ნომერში დაბეჭდილი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის შ. გორგოძის ღია წერილი, და მასში დასმული აქტუალური და მწვავე სადღეისო საკითხების წარმატებით გადაწყვეტა მიიჩნია იმ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად, რომელიც ხელს შეუწყობს „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებას.

ᲪᲘᲪᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ სამმართველოსა და განყოფილებებში, ყველა კოოპორგანიზაციაში მუშა-ინჟინრებსა და ტალახის ხალხმრავალ კრებებზე, რომლებზეც მიმსგრეული ორად აპარატის ხელმძღვანელი მუშაკები, მიმდინარეობს ღია წერილის საქმიანი განხილვა და სათანადო კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება, რომელთა მიზანია დისციპლინის შემდგომი განმტკიცება და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გამძაფრება.

სოფლის მშრომელთა წინაშე ვალია რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაცია. სამწუხაროდ, მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესება ჩამორჩენა სასურველ დონეს. მისი გაუმჯობესებისათვის კი ღია წერილში დასმული პრობლემების მოგვარება, ერთობითა და თანადგომით, უდავოდ მოიტანს პრაქტიკულ შედეგებს. ნეგატიური მოვლენების წინაღმდეგ ბრძოლაში, პროფილაქტიკური მუშაობის გასაქტიურებლად კიდევ უფრო ქმედითად, ინტენსიურად და შემოქმედებითად განვაგრძობთ ტრადიციად ქცეულ კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც რესპუბლიკის გაზეთების რედაქციებთან ერთად მუშავდება.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებთან, სახბანკის რესპუბლიკურ კანცელარასთან, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, წინა წლებში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის, შრომითი და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის ერთობლივად შედგენილი გეგმის რეალიზაციამ ბევრად შეგვიწყო ხელი მუშაობაში, ნაგრამ როგორც სინამდვილემ ცხადყო, გაცილებით მეტის გაკეთებაა საჭირო. სისტემატური, პრინციპული და უშეღავათო ბრძოლა გვჭირდება ჩვენი სისტემის ვაჭრობის დარგში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ღია წერილი, გარდა იმისა, რომ მუშაობაში მკვეთრი გარდაქმნის, კარდინალური შემობრუნების სულისკვეთებით, მშრომელი ხალხისადმი გულისხმიერებითა და ჰუმანურობით არის გამსჭვალული, რათა ყველაფერი გაკეთდეს პატიოსანი შრომისა და პატიოსნური ცხოვრებისათვის, სწორედ წერილის ეს აქცენტი, ჩვენ, ხელმძღვანელ სამეურნეო, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს, გვავალებს უშურველი ენერგიით, ყველა ღონისძიებით ფართოდ გავშალოთ მუშაობა ყველა უნაზნე. ამ დღეებში გავმართავთ აპარატისა და კოოპორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირს, რომელიც შეიფუძნებს ერთად ეხებოდეს ორივე ეს ფენა. ეს ერთობლივ ძალისხმევა, ეს ერთობლივ ბრძოლა, ეს ერთობლივ ინიციატივა, ეს ერთობლივ ინიციატივა, ეს ერთობლივ ინიციატივ

# საგარეო საქმეთა კომისიის სხდომა

**20 ივნისს** კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა. სხდომაზე განიხილეს იმ სიტუაციის საკითხი, რომელიც იქმნება აშერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოქმედების შედეგად სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებებთან დაკავშირებით.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი — კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. თ. დობრინინი — ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ვ. ზიმიანინი.

სხდომას უძღვებოდა ი. კ. ლიგაჩოვი. მან ხაზი გაუსვა, რომ საგარეო საქმეთა კომისიების წევრი დეპუტატების განსახილველად წარმოდგენილი საკითხი გაანაუთრებით გამწვავდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ ამას წინათ გამოცხადებული იმ გადაწყვეტილების გამო, რომ უარი თქვან შემდგომში სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დადებულ შეთანხმებათა დაცვაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ აღნიშნული შეთანხმებანი მოძველდა, რომ მათ ბოლო მოეღოთ (და ისინი აღარ არსებობენ. ვაშინგტონი ხელმძღვანელობს იმით, რომ შეზღუდვები, რომლებსაც შეთანხმებანი აწესებენ, ხელს უშლის შეიარაღების აუცილებელ ზომებს, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის სისტემის ეფექტიანობის ამაღლებას, ამერიკის შეერთებული შტატების ბრძოლისუნარიანობის ამოვებას. გამალებული შეიარაღება საარაკო ოდენობის მოგებას აძლევს მონოპოლიებს, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს, და ეს არის ახალ-ახალი იარაღის დახვავების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, ნამდვილ განიარაღებაზე გადასვლის მიზნით საბჭოთა მხარმა მოკლე ვადაში წამოაყენა მთელი რიგი წინადადებები.

— **პირველი.** ბირთვული გამოცდების შეწყვეტა. საბჭოთა კავშირმა ცალმხრივი წესით შემოიღო ბირთვული აფეთქებების მორატორიუმი, წამოაყენა წინადადება, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება ბირთვული გამოცდების სრული აკრძალვის თაობაზე.

— **მეორე.** მომდინარე საუკუნის დამლევამდე ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაცია დამკვრელი კოსმოსური შეიარაღების შექმნის დაუშვებლობის პირობით.

— **მესამე.** ევროპის ზონაში საბჭოთა კავშირისა და ამერიკის საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაცია.

— **მეოთხე.** უკვე ამ ასწლეულში ქიმიური იარაღის, აგრეთვე მისი დამზადების სამრეწველო ბაზის ლიკვიდაცია.

— **მეხუთე.** შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირება ევროპაში ატლანტიკიდან ურალამდე.

— **მეექვსე.** საერთაშორისო თანამშრომლობა მშვიდობიანი მიზნებით, მთელი კაცობრობის საკეთილდღეოდ კოსმოსის გამოყენებაში.

— **მეშვიდე.** საიმედო კონტროლის განხორციელება განიარაღების ყველა ეტაპზე როგორც ეროვნული საშუალებების, ისე საერთაშორისო პროცედურების, მათ შორის ადგილებზე ინსპექციის გამოყენებით.

— **მერვე.** ხალხთა საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნა, რომელიც მოიცავს როგორც სამხედრო, პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროებს.

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია უგულებელყოფს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო წინადადებებს, მან პასუხი გასცა მათ აგრესიული მოქმედებით ლიბიის წინააღმდეგ, ახალი პროვოკაციებით ნიკარაგუაში, ახლო აღმოსავლეთში, ანგოლაში, აფღანეთში.

სოციალისტური ქვეყნების თათბირმა, რომელიც ბუდაპეშტში გაიმართა მომდინარე წლის ივნისში, დაადასტურა მშვიდობისათვის, ნამდვილ განიარაღებაზე გადასვლისათვის ბრძოლის ეს ძირითადი მიმართულებანი. ისინი სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ პლატფორმად იქცა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმმა მოიწონა თათბირზე წარგზავნილი ჩვენი დელეგაციის საქმიანობა და დაადასტურა პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული პარტიის საგარეო-პოლიტიკური კურსი, რომლის მიზანია განმტკიცდეს საერთაშორისო უშიშროება და თავიდან იქნეს აცილებული ბირთვული ომის საფრთხე.

საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად იღებდა და იღებს ბირთვული იარაღების შეზღუდვისა და შემცირების დარგში ადრე მიღწეულ შეთანხმებათა მკაცრი დაცვისათვის. 1972 წელს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემათა შეზღუდვისადმი მიძღვნილი ხელშეკრულებისა და დროებითი ზომათა შესახებ, ხოლო 1979 წელს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების დადების შემდეგ გასული დროის განმავლობაში საბჭოთა კავშირს არაფერი გაუკეთებია ისეთი, რაც ამ შეთანხმებათა საწინააღმდეგო იქნებოდა.

მიღწეულ მორგებათა დარღვევა, ხელმოწერილ შეთანხმებებზე უარის თქმა საბჭოთა კავშირის პოლიტიკა არ არის. და ვაშინგტონის ყველა ცდაც, სხვაგვარად წარმოადგინოს საქმე, მიზნად ისახავს ისეთი ატმოსფეროს შექმნას, რომელშიც მას თვითონ გაუადილდებოდა ადრე დადებულ შეთანხმებათა უარყოფა, შეიარაღების ზრდის გამართლება.

# მარად ცოცხლობდეს საბჭოთა ხალხის გმირობა დიდ სამამულო ომში!

# ომის მრისხანე ცა

(დასასრული).

პირობები შეუქმნა სატანკო და მოტორიზებულ შენაერთებს საბჭოთა ტერიტორიის სიღრმეში სწრაფი შემოჭრისა და წინსვლისათვის.

უნდა გავითვალისწინოთ ასეთი გარემოებაც: მტერი ჩვენს ქვეყანას იმ მომენტში დაესხა თავს, როცა დასავლეთის სამხედრო ოლქების სამხედრო-საჰაერო ძალები გადადიოდნენ ახალ ტექნიკაზე. მიმდინარეობდა აეროდრომების ფართო მშენებლობა და რეკონსტრუქცია. ჯერჯერობით კი საავიაციო ნაწილების შეიარაღებაში იყო მოძველებული ტიპის საკმაოდ ბევრი თვითმფრინავი.

ავიაგამანადგურებელ ავიაციაში მათ რიცხვს განეკუთვნებოდა ი-15 და ი-16 თვითმფრინავები, რომლებითაც ჩვენი დივიზია იყო შეიარაღებული. ძალიან ბევრი ვიფრინე ამ თვითმფრინავებით, ოცდაათიანი წლების შუა ხანებისათვის ეს ცუდი ტექნიკა როდი იყო, მაგრამ ორმოციანი წლებისათვის იგი უკვე ჩამოუვარდებოდა გერმანულ ავიაგამანადგურებლებს სიჩქარითა და ვერტიკალური მანევრით. ასევე მორალურად მოძველდა ზოგიერთი ჩვენი ბომბდამშენი. საომარი მოქმედების წინ გავეცანი ზოგიერთი ტიპის ჰიტლერულ თვითმფრინავებს, მათ შორის მე-109 და იუ-88 თვითმფრინავებს. ისინი თანამედროვე მანქანები იყო. ჩვენი მიგ-3, იაკ-1 და სხვები არ ჩამოუვარდებოდნენ მათ, მაგრამ ომის დაწყებისათვის ისინი საკმარისი არ იყო.

ჰიტლერელთა ცდები ერთი დარტყმით გაენადგურებინათ საბჭოთა ავიაცია, წარმატებით არ დაგვირგვინებულა. ვითარების სიძნელისა და სირთულის მიუხედავად, საბჭოთა მფრინავები ვაჟკაცურად იბრძოდნენ ფაშისტური სვავების წინააღმდეგ. მარტო ომის პირველ დღეს საჰაერო ბრძოლებში მათ მოსპეს მტრის 200-ზე მეტი თვითმფრინავი.

მეტად რთული საჰაერო ვითარება შეიქმნა დასავლეთის ფრონტის ზოლში, რომლის შემადგენლობაში მოქმედებდა ჩვენი დივიზია. ამ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიმართულებით გერმანელთა ბომბდამშენებმა ინტენსიურად დაბომბეს 26 აეროდრომი, რომლებზეც დაბანაკებული იყო ყველაზე მომზადებული და ბრძოლისუნარიანი ავიაგამანადგურებელი. ომლებიც ითვლებდნენ მიგ-3 და იაკ-1 ახალი ტიპის თვითმფრინავებს. მაგრამ მაინც გავუძელით დარტყმას.

კვლავ ხაზს გავუსვამ: ჩვენი მფრინავები გმირულად იბრძოდნენ. აი რას წერდა მათზე საფრონტო გაზეთი:

„127-ე ავიაგამანადგურებელი ავიაპოლკის ესკადრილიის მეთაურმა, უფროსმა ლეიტენანტმა ი. ი. დროზდოვმა ომის პირველ დღეს ხუთი საბრძოლო გაფრენა მოაწყო, მოსპო ორი თვითმფრინავი. გაზეთიდან შევიტყვეთ უფროსი პოლიტხელის ა. ა. არტემიევის გმირობის ამბავი, რომელმაც ერთ დღეს ჩამოაგდო ჰიტლერელთა სამი თვითმფრინავი. არ შეძლია არ გავიხსენო ისეთი მოვლენებიც, როგორიც იყო საჰაერო ტარანი. ბევრი საბჭოთა მფრინავი, როცა ტყვია-წამალს დახარჯავდა ხოლმე, გაბედულად და მტკიცედ მიდიოდა ტარანზე, რათა არ მიეშვა მტერი ობიექტებთან, რომლებსაც იფარავდა, აგრეთვე დაცვაზე გადასულ ჯარებთან. ძლიერ და გამოცდილ მტერთან გაფფთრებულ შეტაკებაში საბჭოთა მფრინავებმა ღირსეულად მოიხადეს თავიანთი მხედრული ვალი.

წინ იყო ახალი საჰაერო ბრძოლები, ხანგრძლივი და ძნელი მხედრული გმირობა ჩვენი გამარჯვებისათვის“. (საკდესი).

ი. თოიძის პლაკატი. 1941 წ.

# მუშვიდობა ქვეყნად

**ხომ გახსოვს, როგორ იფეთქა შუქმა,**
**ცას რომ მოედო ბათქი სხვაგვარი...**
**ხომ აშკარაა, რომ იმ დღეს უქმად**
**არ გაუწირავს თავი გაგარინს.**
**არ უთხოვია ღმერთისგან შველა,**
**ცა რომ ხოლ-ხოლად კვამლმა დაღარა.**
**ერთმა კოსმოსში გაიხმო ყველა,**
**მაღლიდან მიწის დასანახავად.**
**მაღლა გრუხუნით ავარდნილ ხომალდს,**
**აპყვა შუქი და ჩვენ მერე ენახეთ:**
**კაცის და ელვის მოვარეზე ჯდომა,**
**ძირს ჩამოსული ვენერას სახე.**
**უცნობ სივრცეთა იქით, გაბმული**
**ვიცნეთ შორეთში ხომ მსხვრევაც**
**მეხთა,**
**ნლობით მქროლავი მიწის სადგური**
**როცა ჰალეის კომეტას შეხვდა.**
**დადნა ქარვინან დღეების აცმა**
**ოქროს ლილვივით, ვერცხლის ფერებად.**
**რომ ძირს, მინაზე, იცხოვროს კაცმა,**
**ცაში ავიდა მეცნიერება...**
**განა იმიტომ, რომ ნაღმებს დებდნენ**
**თვალით უნილავ სივრცეთა მიღმა?**
**განა იმიტომ, მუქარით შემდგ**
**მუშტებს იქნევდეს იქედან ვიღაც?**
**კაცობრობის აუგად ისევ**
**ნალმი აკეთოს კაცის ხელებმა,**
**და დამშვიდებით ვაგუშან ცისკენ**
**ქვეყნის მომსპობი საშინელება?**
**მზადაა, ეშმას თვით სული მისცეს,**
**ოღონდ მზის ერთი კიდე დაღამდეს**
**ოღონდ დანაღმონ ციური სივრცე,**
**როგორც რუსეთის მინდვრებს**
**ნაღმავდნენ.**
**ავერ, ზღვებს იქით, კვლავ ბომბებს**
**ცდიან,**
**ცას ზვერავენ და ნგრევა იტაცებთ.**
**უკვე საეჭვო ჭურვი და ტყვია,**
**აღარ ეტევა დედამიწაზე.**
**მოდგნენ ვემები სიკვდილის მარშით,**
**ღუზის ღრჭიალით, ჯავშანის მტვრევით,**
**ტრიპოლისა და ბენღაზის ცაში**
**შავად ჩამოდის საშიში მტვერი.**
**მერედა, ვისგან, ვისი გონებით**
**გზა დაუცალოს ბურუსს მნათობმა?**
**ცაში გამართონ პოლიგონები**
**და სხვა ათასი უკულმართობა?**
**არა სჯობია, რომ ერთიანად**
**შუქად სიკეთე მოედოს სივრცეს,**
**და ვარსკვლავეთი ომის კი არა,**
**მშვიდობის დიად მოედნად იქცეს.**
**ცათა კედელო, არ დაინგრევი,**
**ვერ ამოგივსონ უბე ჩრდილებმა.**
**კაცის გონება კეთილ მიგნებით,**
**მხოლოდ სიცოცხლეს ემორჩილება.**

ვასილ გვეტაძე.

# დაუვიწყარი დღე

**ორმოცდახუთი** წლის წინათ, 22 ივნისს, ისევე როგორც წელს, კვირა დღე იყო. იწყებოდა ზვებულებების, პიონერთა ბანაკებისა და ლაშქრობების ხანა. და სწორედ ამ დღეს ფაშისტური ურდოები მუხანათურად დაესხნენ თავს ჩვენს სამშობლოს.

საზღვრის იქითა მხარეს თავი მოუყარეს მსოფლიოში არნახულ ძალას — 5 მილიონ ნახევარ თავით ფეხამდე შეიარაღებულ ჯარისაკცსა და ოფიცერს. ოკუპირებული ევროპის მთელი სამხედრო მრეწველობა ვერმახტს ამარაგებდა. ათასობით ტანკი, თვითმფრინავი, ათიათასობით ქვემეხის ლული იყო მომართული ჩვენი ქვეყნისაკენ.

ვერმახტის გენერალურმა შტაბმა შეიმუშავა „ბარბაროსას“ გეგმა — საბჭოთა კავშირის დაპყრობის, დამონების და გაჩანაგების გეგმა. დღეებით და საათებით იყო გაანგარიშებული ჩვენს მიწა-წყალზე ჰიტლერელთა ურდოების მოძრაობა. სექტემბრისათვის ომი უნდა დამთავრებულიყო, ვერმახტის ჯარები კი უნდა გასულიყვნენ არხანგელსკ-ასტრახანის ხაზზე.

გერმანიაში უკვე იქმნებოდა ჩვენი სიმდიდრეების ექსპლუატაციის საკაცო საზოგადოებებიც.

ჰიტლერი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომს ჩვეულებრივ ომად კი არა, გამანადგურებელ ომად მიიჩნევდა. ამიტომ მან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დარაზმა მთელ ევროპაში შეგროვილი ფაშისტი არამზადები — იტალიელი შავზალათიანები, ესპანელი ფალანგისტები, ფინელი შუკკორელები, ფრანგი კაგულარები, რუმინელი რკინისგვარდიელები, უნგრელი „შავი ისრები“, ჩრდილოეთ ევროპის, ბალკანეთის ქვეყნების ფაშისტები.

ამრიგად, ყველაფერი მოაგროვეს, გაითვალისწინეს, დაგეგმეს. ყველაფერი, გარდა ერთისა — საბჭოთა ხალხის ნებისა და სურვილისა. არადა სწორედ იგი აღმოჩნდა მთავარი ფაქტორი, რომელმაც გავლენა მოახდინა ომის მსვლელობასა და მის შედეგზე.

რას წარმოადგენდა საბჭოთა ხალხი, ჰიტლერელმა ვაი-მეომრებმა მხოლოდ დამარცხების შემდეგ გაიგეს. შემთხვევით როდი წერდა მე-4 საველე არმიის შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ბლუმენტრიტი თავის მემუარებში: „რუსეთის არმია 1914-18 წლების ომში ჩვენთვის კერკეტი კაკალი გამოდგა. კანონზომიერი იქნებოდა გვეფიქრა, რომ იგი ჩვენთვის კიდევ უფრო ძნელი დასამარცხებელი იქნებოდა, რადგან ბოლშევიკები ოც წელიწადს გეგმაზომიერად ზრდიდნენ ახალგაზრდობას“.

სწორედ ამ ახალგაზრდობის წრიდან გამოვიდნენ ისეთი გმირები, როგორებიც იყვნენ ზოია კოსმოდემიანსკაია და ზოია რუხაძე, ვიქტორ ტალალიხინი, დავით ჯაბიძე, ნიკოლოზ გასტელო და შოთა გამცემლიძე, ალექსანდრე მატროსოვი და ვასილ პეტრიაშვილი. პარტიამ ომამდელ წლებში შექმნა მძლავრი წითელი არმია, აღზარდა მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსული მხედართმთავრების კადრები. ფაშისტებისათვის სრულიად მოულოდნელი გამოდგა ბრძოლის ველზე ისეთი მხედართმთავრების გამოჩენა, როგორებიც იყვნენ გ. კ. ჟუკოვი, ი. ს. კონევი, კ. კ. როკოსოვსკი, ა. მ. ვასილევსკი, ი. ე. პეტროვი, თ. ი. ტოლბუხინი, ნ. თ. ვატუტინი, პ. გ. ჩანჩიბაძე, კ. ნ. ლეზელიძე და მრავალი სხვა. ომში გაიმარჯვეს არა მარტო საბჭოთა იარაღმა და საბჭოთა მეომრებმა, არამედ, აგრეთვე საბჭოთა სამხედრო დოქტრინამ, საბჭოთა მხედართმთავრულმა ხელოვნებამ.

ომი დამთავრდა იქ, სადაც დაიწყო — ფაშისტი მხეცის ბუნაგში. ჩვენმა ხალხმა მსოფლიო ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. დიდი სამამულო ომის წლებში სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიღუპა ქვეყნის ოცი მილიონი შვილი.

ორმოცდაერთი წელია ჩვენი ხალხი უღრუბლო ცის ქვეშ ცხოვრობს, ზრდის შვილებს და მოჰყავს პური, ადნობს ლითონს და უშვებს კოსმოსურ ხომალდებს, სწვდება ატომისა და გენური ინჟინერიის საიდუმლოებებს. ჩვენ ვაშენებთ კომუნიზმს, ვაშენებთ უკლასო საზოგადოებას და გვჭირდება მშვიდობა, რამეთუ ვიცით ომის ფასი.

ახლა 1986 წლის 22 ივნისის კვირა დღეა. ვებრძვით ჩერნობილის უბედურებას, ვებრძვით დღდიც და პატარაც და ვამარცხებთ მას. მაგრამ ბევრად უფრო დიდ საფრთხეს უქმნის მსოფლიოს რაკეტულ-ბირთვული ომის საშიშროება, ომისა, რომელშიც არ იქნება გამარჯვებული.

საბჭოთა კავშირი, მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობა ძალ-ღონეს არ იშურებენ ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებლად. ამას დამაჯერებლად მოწმობს ჩვენი ქვეყნის ახალი სამშვიდობო ინიციატივები, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბუდაპეშტის თათბირის დოკუმენტები, სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მასალები.

ვიბრძვით მშვიდობისათვის და გავიმარჯვებთ, ვინაიდან გვახსოვს 1941 წლის 22 ივნისი!

**კ. ცქიტიშვილი.**
**პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.**



**დიდი** **სამამულო ომის დაწყების პირველსავე დღეს გამართულ მიტინგებზე საქართველოს მშრომელები გამოხატავდნენ ერთსულოვან მზადყოფნას — უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოლათ მშობლიური მიწისათვის, სოციალიზმის მონაპოვართა დასაცავად, დგებოდნენ მოხალისეთა რიგებში და შემდეგ წარბშეუხრელად ეწირებოდნენ სამშობლოს...**

**სურათებზე: თბილისის ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში 1941 წლის 22 ივნისს გამართული მიტინგი; უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის გალავანთან.**

# ორმოცდახუთი

**ორსართულიანი** სახლის აივანზე კაცი გადმოდგარა. სახე მზისთვის მიუშვერია. თითქოს შორს, სადღაც სივრცეში იმზირება.

— ზმიად იცის ასე გარინდება, — თქვა მეზობლის ქალმა და ეზოში შეგვიძღვა. ჭიშკრის ჭრაალზე კაცმა იკითხა:

— ვინ მოვიდა?

— ძალო და ერთი კაცია, შენა გაკითხულობენ, — უთხრა ბიჭმა.

— მობრძანდით, დაბრძანდით, სკამი შესთავაზე შვილო.

— დიდი სამამულო ომის გამარჯვების წლისთავზე სამშობლოსათვის თავგანწირულებზე უნდა მოვუთხროთ ხალხსო, რომ ვუთხარი, მოელვარება დაიტყო. ერთხანს ჩუმად იყო, მერე სხვათა შორის წამოიწყო:

# თვალსაჩინის ფასად

— ბედმა ასე მიმაჯაჭვა ერთ ადგილს. გაზაფხულის სუნთქვას ვუგდებდი ყურს. ამ თვეში მდინარეს სხვა ხმა აქვს, ჰაერს და მიწას სხვა სურნელი, — რაღაც ქრუანტელის მომგვრელი... ეჰ, ძნელია არ ხედავდე მზეს და მიწას... უფრო ძნელია დაკარგო მეუღლე, დარჩე მარტოხელა. თუმცა რა ვამბობ, დავბერდი, გამოვჩერჩეტდი, უთვისტომო მტერი იყოს. ჩემი სოფლისა და ჩემი ინალის ხელში მარტოხელა რათა ვარ. საკუთარი შვილი არა მყავს, მაგრამ ჩემს ბიძაშვილს ინალს ვეხაცვალე, მერცხალივით ბიჭია, ეს არის ჩემი პატრონი.

1941 წლის 25 ივნისს სტუდენტი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი საარტილერიო სასწავლებელში გააგზავნეს. მათ რიცხვში იყო თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მესამე კურსის წარჩინებული სტუდენტი, სტალინური სტიპენდიანტი ილია გელდიევი, ოსი ჭაბუკი ზნაურის რაიონის პატარა სოფელ უბითიდან...

როცა მტერი სტალინგრადს მოადგა, კურსანტები ფრონტისაკენ დაიძრნენ. ოცეულის მეთაური ილია გელდიევი მამაცობის, ამტანობის, მოსაზრებულობის მაგალითს აძლევდა მებრძოლებს. სტალინგრადთან, რვა კილომეტრის დაშორებით, დაბანაკებულ მათს დივიზიონს, მტერთან უთანასწორო, სისხლისმღვრელი ბრძოლა მოუხდა. ილია კისერში დაიჭრა. დივიზიონის გადარჩენილი ნაწილი ასტრახანში დაბრუნეს შესასვენებად. ილიას უმცროსი ლეიტენანტის წოდება მიანიჭეს. მათი დივიზიონი ისევ ჩაება ბრძოლაში ქ. ელისტასთან, მერე ბუდიონოვკის, როსტოვის, ტაგანროგის განთავისუფლება...

— ხომ არ მოგწყენდათ? სასიამოვნო მოსასმენი როდია სისხლიანი ამბები, — მეუბნება ომგადახდილი კაცი.

— საინტერესოა, განაგრძეთ.

— არ ვიცი, როგორ შემომრჩა: ასეთი მეხსიერება, ლამის ყოველი დღის ბრძოლები მახსოვს. ზოგი საშინელების დავიწყება მინდა, მაგრამ არ იშლება გონებიდან. ბერდიანსკის განთავისუფლებისას ისეთი რამ ვნახე, თქმაც მიჭირს, — ეყარა უმოწყალოდ დახოცილი ქალების, ბავშვების საშინლად დამახინჯებული შიშველი სხეულების გროვა. ამ ქალაქში ებრალელობა ცხოვრობდა.

ბრძოლებით გავიარეთ მტრის მიერ დაკავებული ასობით კილომეტრი, ყირიმიც დავიბრუნეთ, სტალინოც, მელიტოპოლიც. გადავლახეთ დნეპრი, ავიღეთ სოფლები ლენინსკი, პოდრაგაჩოვო, ნაზამოუეში კი გაჯირდა საქმე, მტერმა დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია... 1943 წლის დეკემბერი იდგა. ყინვა ძვალსა და რბილში ატანდა, ბატალიონის კომისარმა ჩაიდუნოვმა მიბრძანა: გელდიევ, ფრიადოსანო არტილერისტო, წაიღე ზარბაზანს, წაიყვან ორ მებრძოლს და ორ საათში მომახსენებ სროლისათვის მზადყოფნას.

ზარბაზანი რომ სასროლოდ მოაწყო, ირგვლივ უნდა ტრიალებდეს. ყოველმხრივ უნდა შეძლოს სროლა. ამიტომ ძირს სწორი ადგილი უნდა ჰქონდეს და რამეს ებჯინებოდეს.

მოხერხებული ადგილი მოვნახეთ სიბნელეში. ბარით ნიადაგის მოსწორება დავიწყეთ. ვფრთხილობთ, რომ ფეხმა ათეულ მეტრზე, მზესუფზირას გაუჭრელ ყანებში ფაშისტები იმალებიან. ერთხელ ჩავარტყი ბარი, მეორედ და... რამდენიმე მეტრზე მომისროლა აფეთქების ტალღამ, დანაღმული ყოფილიყო ველი. ნაღმის ნამსხვრევებმა სახე დამიფლითეს, მარცხენა თვალი ბუდიდან ამომიგდეს, სმენა წამერთვა. გონს სოფლურ ქოხში მოვვედი. ტახტზე ვიწევი და ზედ ჩემი ფარაჯა მეფარა. დღემდე ვინახავ ამ დაცხრილულ ფარაჯას...

ჰოსპიტლიდან ჰოსპიტალში, ქალაქიდან ქალაქში მატარეს, რომ ცალი თვალი მაინც შეენარჩუნებინათ, მაგრამ ამაო გამოდგა ყოველი ცდა. სიცოცხლე მაინც უნდა კაცს. უსაზღვროა გრძნობა, შეგნება იმისა, რომ მშობლიურ მიწაზე დგახარ, ჯესმის ბალაღებული ნორჩი თაობის ჟრიამული, მდინარის ხმაური, ყნოსავ შენი მამულის ვარდ-ყვავილებს, ბალახის სურნელს.

ამ ხუთი წლის წინათ პირმიდან ჩემი თანამებრძოლი მესტეფრა. ისე გავიხარე, თითქოს ჩემი ახალგაზრდობა დამბრუნებოდეს. ძალიან მოეწონა ჩვენი მხარე, ჩემი პატარა სოფელი... ერთი ქართველი ფრონტელი მეგობარიც მყავდა ვარლამ ქემაძე, აი იმას კი დღემდე ვერ მივაგენი.

ოდა აივანზე ტანადი, უსინათლო კაცი და უბრალოდ ყველბოდა სამშობლოსათვის თავგანწირვის ამბავს.

მან ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი რამ — თვალის ჩინი შესწირა მამულს, რომ მისი ცა მუდამ კრიალა, ლაჟვარდოვანი ყოფილიყო. არ ნანობს იგი, რომ აგერ ორმოცე წელზე მეტია ვეღარ ხედავს ხასხასა ჯეჯილს, თეთრად გადაპენტილ ტყეძლებს, ვარდისფრად აბრიალებულ ატმებს, აზვირთებულ მდინარეს. ბაზაფხულის ეს ფერები მაინც სამუდამოდ არის აღბეჭდილი მის დადამებულ თვალებში — სამშობლოს წინსვლას მაინც საოცრად გრძნობს და უხარია.

**გ. თედღევი,**
**„კომუნისტის“ საკ. კორ.**

# მუდამ მეომრის ფარაჯით

**მის** შემოქმედებითს ცხოვრებას დასაბამი მიეცა ამ 45 წლის წინთ, დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში, სადაც ლეიტენანტი თეიმურაზ ჯანგულაშვილი ნაღმსატყორცნ ოცეულს მოუძღოდა ბრძოლებში. ავტომატით და იარაღად ქვეყანი ალმით მიჰყვებოდა ომის გზებს. ქართული პრესის ფურცლებზე იმ მრისხანე დღეებშივე იბეჭდებოდა ბრძოლის ველიდან გამოგზავნილი მისი ლექსები. წითელი ვარსკვლავისა და სამამულო ომის ორდენების კავალრის, დღეს უკვე ცნობილი პოეტის თეიმურაზ ჯანგულაშვილის ფრონტული ლექსების პირველი წიგნი „ცხრაას ორმოცდახუთი“ 1948 წელს გამოქვეყნდა. შემდგომ წლებში დაიბეჭდა კრებულები „გზა, რა გზა“, „სიმღერა და მახვილი“ და მოგონებების ციკლი „ცეცხლში გახვეული დედამიწა“, რომლებშიც პოეტმა ამაღელვებლად და შთამბეჭდავად გადმოგვცა თავისი თანამებრძოლების გაუტეხელი სულისკვეთება, საბჭოთა ხალხის ტიტანური შემართება, ომის საშინელება, მშვიდობის სილამაზე და ცხოველმყოფელობა.

თეიმურაზ ჯანგულაშვილის პოეტურ სიტყვას დღესაც არ გაუხდია მეომრის ფარაჯა. პოეტი-ჯარისკაცი კვლავ მწყობრში დგას, მხარდამხარ მისდევს ჩვენს მეცელვარე დღეებს, საბჭოთა ხალხის დიდ შემოქმედებითს შრომასა და ბრძოლას, აქტიურად ეხმაურება ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს, გულთან ახლოს მიაქვს აღმფრენაც და ტკივილიც. მის პოეზიას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს რწმენისა და იმედის პოეზია. აკი ერთ-ერთ თავის წიგნს „იმედის ზვრები“ დაარქვა და ამ წიგნში შესული ლექსებისათვის მას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემია „ხუთწლედის მატიანე“ მიენიჭა.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებს. მისი ლექსები, რომლებიც ჩვენი ცხოვრების აქტუალურ საფიქრალზე, პარტიამ ეხმაურება, სისტემატურად იბეჭდება პრესაში. გულითადი და შემართულია მისი სტრიქონები. ეს იმიტომ, რომ ომგადახდილი პოეტის შემოქმედება საზრდოობს საბჭოთა საქართველოს დღევანდელობით, მისი წინსვლით, მისი ნათელი მომავლით.

თ. ჯანგულაშვილის პოეზიის ცენტრში ყოველთვის იყო და არის მშრომელი ადამიანი, მარტენის ღუმელთან დგას იგი, დაზგასთან თუ სოფლად არის...

პოეტის ლექსები უწინარესად მოქალაქეობრივი პათოსითა და პოლიტიკური მგზნებარებით იქცევენ ყურადღებას, შემთხვევითი არც ის არის, რომ მეურნეობებსა და საწარმოებში შეხვედებით ლოზუნგებად გამოკრულ მის სტრიქონებს...

რით აღწევს ყოველივე ამას პოეტი?

თუნდაც ძალზე მიწიერი თემის ორიგინალური გაანზრებითა და ადიდარი პოეტური სახეებით.

თ. ჯანგულაშვილი უშუალო, გულითად დიალოგს მართავს მკითხველთან. მისი ბოლო ლექსები ეხმაურება ეკონომიკის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სადღეისო საკითხებს. მხედველობაში მაქვს ლექსი „ქვეყანას რომ უხვი ხვავ-ბარაკი ჰქონდეს“, რომელიც ეძღვნება იმ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანებს, პარტიის XXVII ყრილობამ რომ დაუსახა ქვეყნის სოფლის მეურნეობის მუშაკებს. ყრილობის შედეგებს ეხმაურება მეორე ლექსიც „დაჩქარება! დაჩქარება!“.

„უნდა, უნდა დაჩქარდეს დიდ საქმეთა კეთება, რათა გაგვიდღეგრძელდეს ცხოვრების სიხარული“—აცხადებს პოეტი. დღეს, სწორედ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება უზრუნველყოფს იმ გრანდიოზული ამოცანების შესრულებას, რომლებიც პარტიამ დაუსახა საბჭოთა ხალხს. ამ ამოცანის შესრულება კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ხალხი და ქვეყანა უფრო ძლიერი და უფრო მდიდარი იქნება. პოეტიც თავისი სიტყვით ამ ამოცანის შესრულებას ემსახურება, როცა მკითხველს მიმართავს: „ხალხის საკეთილდღეო ბრძოლის ცეცხლი აღანთე, ქვეყნის წინსვლა-შენებით მტერი წუხდეს ძლიეული. სამოცდაათწლიან გზას, დღემდე ავლილ აღმართებს თვალი უნდა ვუსწოროთ დიდი თხუთმეტწლეულით.... აღმართ-აღმართ აჰყევი სამომავლო ცხრა-ბილიკს! — ნაბიჯი უჩქარესი! კვალი საშვილიშვილო!“

ეს შრომა პატიოსანი და სინდისიერი უნდა იყოს. სინდისი უდევს საფუძვლად სკკპ-ეს და წინსვლას, სინდისია ცხოვრების სიმკეიდრის ქვაკუთხედი და წმინდა სიცოცხლის დრაშა. როგორც პოეტი წერს, სინდისი არის „პატიოსნების წმინდა სათავე, კეთილი დედა ერთგულებისა, მართალი როგორც პურის თავთავი, ძლიერი როგორც სუნთქვა მთებისა“. ამიტომაც მოუწოდებს ყველა მშრომელს: „ქვეყნის შვილი ხარ! — სულის ყველაზე უმაღლეს ტახტზე სინდისი დასვი, ყოველდღე ჰკვებე მისი ფესვები გულის ყველაზე სისხლსავსე ძარღვით“.

თ. ჯანგულაშვილმა ამ მგზნებარე პუბლიცისტურ ნაწარმოებს მხარში ამოუყენა იმავე დღეებში დაწერილი „სიწმინდის ლექსი“. რვალი სუფთა ფ

# დიდი ხელოვანი და მოამაგე

**გამოჩენილია** კომპოზიტორმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატმა ანდრია ბალანჩივაძემ თავისი მრავალმხრივი და ხანგრძლივი მოღვაწეობით, რომელიც 55 წელს აღემატება, წარუშლელი კვალი გააჯო ქართულ მუსიკაში. ანდრია ბალანჩივაძე ქართული საბჭოთა მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელია. ყოველი მოწინავე ხელოვნის მსგავსად ა. ბალანჩივაძის შემოქმედება ტრადიციულიც არის და ნოვატორულიც, იგი საგრძნობლად აფართოებს ქართული მუსიკის თემატურ, ჟანრობრივ და სტილისტურ ფარგლებს, ქმნის პირველ ქართულ საფორტეპიანო კონცერტს, პირველ ქართულ ბალეტს („მთების გული"), დიდი წვლილი შეაქვს ქართულ სიმფონიურ მუსიკაში, მისი ოთხი სიმფონია და ხუთი საფორტეპიანო კონცერტი ქართული ინსტრუმენტული მუსიკის საგანძურს ამშვენებს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ა. ბალანჩივაძის დამსახურება ქართული საბალეტო ხელოვნების განვითარებაში — იგი სამი ბალეტის ავტორია („მთების გული", იგივე „მზეკაბუკი", „ცხოვრების ფურცლები", „მწირი"). ა. ბალანჩივაძემ ქართულ კამერულ მუსიკას შესძინა საფორტეპიანო კვინტეტი, საფორტეპიანო ტრიო, სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის, რომანტიკული ციკლი (12 საფორტეპიანო პიესა) და სხვ.

ა. ბალანჩივაძე ეროვნული ტრადიციების დიდი ერთგულია, მისი შემოქმედება ქართულ ხალხურ საწყისებზეა დაფუძნებული, პროფესიული მუსიკის მაცოცხლებელი ნაკადი — ხალხური სიმღერა თავიდანვე ასაზრდოებს მის შემოქმედებას. ამავე დროს იგი დაკავშირებულია როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე მუსიკის ტრადიციებთან, მაგრამ არასოდეს ამ ტრადიციებს მის შემოქმედებაში არ მიუღია შემბოჭველი ტრადიციონალიზმის ხასიათი. ანდრია ბალანჩივაძე ძლიერი ინდივიდუალობის მქონე შემოქმედია. იგი მრავალმხრივი ხელოვანია, რომელიც თანაბარი ოსტატობით ასახიერებს როგორც მძაფრ დრამატულ კონფლიქტებს, ისე ცხოვრების ნათელ ჰარმონიას.

კომპოზიტორი მკვიდრად დგას თავისი ეპოქის ნიადაგზე, თანამედროვე ცხოვრების სინამდვილე შეადგენს მისი შემოქმედებითი შთაგონების მთავარ საგანს. ისტორიული წარსულიდან იღებს იგი მხატვრულ მასალას თუ თანადროული ცხოვრებიდან, ყველგან იგრძნობა თანამედროვე ხელოვნის მაჯისცემა, მისი ფხიზელი მაძიებელი სული. ა. ბალანჩივაძისათვის უცხო არ არის მკაცრი და პირქუში სახეები, მაგრამ მის მუსიკალურ პალიტრაზე უმთავრესად ღია და ნათელი ფერები ჭარბობს. ა. ბალანჩივაძის ხელწერის ინდივიდუალური ნიშნები შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე გამოვლინდა. მისი ნიჭის აღიარება მოზდა 1934 წელს, როცა შექმნა პირველი ქართული საფორტეპიანო კონცერტი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ყველა ცნობილ ესტრადაზე აჟღერდა. ამიერიდან ა. ბალანჩივაძის შემოქმედებითი გზა აღმავალი ხაზით ვითარდება. ამ გზის ნიშანსვეტებია ბალეტი „მთების გული", პირველი სიმფონია, მესამე საფორტეპიანო კონცერტი, მეორე სიმფონია. ა. ბალანჩივაძის ყველაზე აღრინდელი თვალსაჩინო ნაწარმოებია ბალეტი „მთების გული", რომელსაც ფუძემდებელი მნიშვნელობა აქვს ქართულ მუსიკაში. უფრო მეტიც, „მთების გულის" მნიშვნელობა დღეია არა მარტო საქართველოს, არამედ საკავშირო მასშტაბითაც. იგი მთელი საბჭოთა საბალეტო ხელოვნების ერთ-ერთი პირველი ნიმუშია, რომელიც დიდი წარმატებით დაიდგა ლენინგრადის საოპერო თეატრისა და საბჭოთა კავშირის სხვა თეატრების სცენებზე. საბჭოთა კომპოზიტორებს შორის ა. ბალანჩივაძე ერთი პირველთაგანია, რომელმაც ახალი გზა იპოვა საბალეტო ხელოვნების განახლებისათვის. „მთების გულის" თემატიკა, მისი სიუჟეტი, მხატვრული სახეები და მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ენა სრულიად ახალ და დამოუკიდებელ მხატვრულ მოვლენას წარმოადგენს. უპირველეს ყოვლისა, საგულისხმოა კომპოზიტორის მიერ თვით სიუჟეტის შერჩევა. „მთების გული" ლირიკულ-ჰეროიკული ჟანრის ბალეტია. მისი სიუჟეტი მოგვითხრობს ფეოდალთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის აჯანყების ამბავს, სოციალური ბრძოლის გმირული თემა უცხო იყო კლასიკური ბალეტისათვის. გმირული ბალეტის ტრადიცია საბჭოთა ეპოქაში შეიქმნა. 1936 წელს დაწერილი ა. ბალანჩივაძის „მთების გული" წარმოადგენდა გმირული ბალეტის შექმნის ერთ-ერთ პირველ ცდას. საბალეტო თეატრის სცენაზე პირველად გამოდის ახალი გმირი — რევოლუციური ხალხი.

ბალანჩივაძის ბალეტი ყურადღებას იქცევს არა მარტო თავისი იდეური გააზრებით, არამედ უწინარესად მუსიკალური განხორციელების მხრივ, „მთების გულის" ავტორი საბალეტო ხელოვნების სპეციფიკის უტყუარ ალღოს ამჟღავნებს, მასში განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოვლინდა ა. ბალანჩივაძის მუსიკალურ-პლასტიკური ნიჭი და მისი დიდი ინტერესი ქორეოგრაფიული სახეებისადმი. ქართული ხალხური და კლასიკური ქორეოგრაფიის ტრადიციათა სინთეზის საფუძველზე ა. ბალანჩივაძემ შექმნა ნაწარმოები, რომლითაც არა მარტო სათავე დაუდო საბალეტო ჟანრს საქართველოში, არამედ ძალზე საქმიანი ნაბიჯი მიანიჭა მის შემდგომ განვითარებასა და აღმავლობას.

შემოქმედი მტკიცედ იცავს კლასიკური საბალეტო დრამატურგიის ძირითად პრინციპს — მთავარ გამმასხვერ ძალას იგი აკუთვნებს ცეკვას, როგორც საბალეტო სპექტაკლის ძირითად მამოძრავებელ ელემენტს. მშრალ, რიტმულ პანტომიმას იგი უპირისპირებს პლასტიკური ექსპრესიით აღბეჭდილ ცეკვას. მაგრამ „მთების გულის" მუსიკის პლასტიკურობა მიღწეულია არა მარტო დანსანტური რიტმების საშუალებით, არამედ ფიქრი მელოდიური კონტურებითაც. საერთოდ, „მთების გულის" ეჩვმეტანელ ღირსებად, მიგვაჩნია მასში ორი საპირისპირო საწყისის — ცეკვისა და სიმღერის ორგანული შერწყმა.

ა. ბალანჩივაძე განსაკუთრებით დაწინაურდა სამამულო ომის პერიოდში შექმნილი პირველი სიმფონიის, რომელიც საბჭოთა სიმფონიზმის დიდი შენაძენია. უნდა ითქვას, რომ ა. ბალანჩივაძის შემოქმედებით ინდივიდუალობა განსაკუთრებით სიმფონიურ ჟანრში გამოვლინდა. იგი სიმფონიურად მოაზროვნე მუსიკოსად გვევლინება შემოქმედების ყველა ჟანრში. პირველი სიმფონია მონუმენტური ქმნილებაა. იგი ყურადღებას იქცევს როგორც მხატვრული სახეების მრავალფეროვნებით, ისე მონოლითური მთლიანობით და ერთიანობით. მისი მუსიკა შეიცავს ლირიკის, ეპოსის, ჰეროიკისა და ტრაგედიის ელემენტებს. ა. ბალანჩივაძის სიმფონიის ეს თვისება, ფართო ემოციური დიაპაზონი თავის დროზე ხაზგასმით აღნიშნა ჩვენი ეპოქის გენიალურმა სიმფონისტმა დ. შოსტაკოვიჩმა, რომელმაც ა. ბალანჩივაძის პირველი სიმფონია მთელი საბჭოთა მუსიკის დიდ გამარჯვებად აღიარა. ა. ბალანჩივაძის პირველი სიმფონია ფართო იდეური მასშტაბის ნაწარმოებია. იგი სამამულო ომის გმირულ ეპოქას ეხმიანება, მასში ქარცეცხლიანი წლების მძლავრი სუნთქვა იგრძნობა. მედგარი სულისკვეთებით იგი გამარჯვების რწმენას უნერგავს საბჭოთა ადამიანებს.

ა. ბალანჩივაძე აღქურვილია ჭეშმარიტი სიმფონისტის ერთი აუცილებელი თვისებით — მხატვრული სახეების რადიკალური გარდასახვის უნარით. კომპოზიტორი საუცხოოდ ფლობს თემატიკური მასალის მრავალმხრივი მოდიფიკაციის ხელოვნებას, სიმფონიის განვითარების მთელ მანძილზე მხატვრული სახეები დიდ შინაგან გარდასახვას განიცდიან.

თუმცა კომპოზიტორმა მრავალი ნაწარმოები უძღვნა თანამედროვეობას, მაგრამ არც ერთ მის ქმნილებაში ისე მძაფრად არ იგრძნობა ჩვენი ეპოქის მაჯისცემა, როგორც პირველ სიმფონიაში. მისი მუსიკა თანამედროვე ცხოვრების აქტიური სულით და სიცოცხლის დინამიკური შეგრძნებითაა გამსჭვალული. სულ სხვაა თავისი იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრით და შესრულებით მეორე სიმფონია: მას თავისებური სიახლე შეაქვს ქართულ სიმფონიურ მუსიკაში. მეორე სიმფონიის „გმირიც" თანამედროვე ადამიანია, აქ თითქოს ჩვენი ეპოქის ახალგაზრდა კაცის სულიერი გაწყობილებანია გადმოცემული. თუ პირველი სიმფონიის კონცეფციას ეპიკური საწყისი განსაზღვრავს, მეორე სიმფონია უფრო ლირიკულ-დრამატული სიმფონიზმისაკენ იხრება, მასში თავისებური განზოგადება პოვა ა. ბალანჩივაძის შემოქმედების ერთ-ერთმა ძირითადმა საწყისმა — ამაღლებული ლირიკის სფერომ, რომელიც სიმფონიის გამჟღოლ ემოციური ნაკადია, ლირიკულ ფურცლებს დიდი პოეზია შეაქვს სიმფონიაში და მისი ყველაზე შთამბეჭდავი ფურცლებია.

ანდრია ბალანჩივაძის აზროვნების მრავალმხრივობა, მისი ფართო დიაპაზონი განსაკუთრებით საკონცერტო ჟანრში გამოვლინდა. მისი ხუთი საფორტეპიანო კონცერტის მხატვრული სამყარო მეტად ვრცელია და მრავალფეროვანი. კომპოზიტორი არსად არ იმეორებს თავის თავს, ყოველი კონცერტის მხატვრული შინაარსი, მისი სტრუქტურა და მუსიკალური ენა მკვეთრად ინდივიდუალურია, ამავე დროს ამ სრულიად განსხვავებულ ნაწარმოებებს აერთიანებს და აკავშირებს ნათელი ოპტიმისტური საწყისი, რომელიც ოდითგანვე მოსდგამს ამ ჟანრს. ყველაზე სრულყოფილი ქმნილება ა. ბალანჩივაძემ ამ ჟანრში შექმნა. ეს არის მესამე საფორტეპიანო კონცერტი, რომელიც უაღრესად პოპულარული ნაწარმოებია. მესამე კონცერტის მუსიკა ნორჩი სიცოცხლის პოეზიით არის გამსჭვალული და ჭეშმარიტად კლასიკური ქმნილებაა ბავშვის სულიერი განცდების გადმოცემისა და მისთვის გამონაბული შესატყვისი ფორმის თვალსაზრისით. მესამე კონცერტში ა. ბალანჩივაძემ თავისი მელოდიური ნიჭისა და ფანტაზიის მთელი სიმდიდრე გამოავლინა და, მართლაც, მესამე კონცერტის უმთავრესი თვისებურება მისი უდიდესი მელოდიური მომხიბლავობაა. კონცერტის მუსიკას მელოდიური საწყისი ანიჭებს არა მარტო პოეტურ, არამედ მკაფიოდ გამოკვეთილ პლასტიკურ ფორმას. მესამე კონცერტის მუსიკა ფაქიზად დახვეწილი ფილიგრანული და კრისტალური სახეებით ადრინდელი კლასიციზმის მოგონებებს აღვიძებს და მისი უკვდავი ოსტატების — მოცარტისა და ჰაიდნის სამყაროს ეხმაურება. მართლაც, მესამე კონცერტის მხატვრულ სახეებში შეიგრძნობა „მოცარტისეული წვდომა ცხოვრებისა" (ბ. ასაფიევი).

სიცოცხლის მშვენიერების პოეტური განცდა, მისი ესთეტიკური არსის გამოვლენისაკენ მისწრაფება ხელოვანს ხშირად ბუნებასთან აახლოებს. ა. ბალანჩივაძე მუსიკალური პეიზაჟის საუკეთესო ოსტატია ქართულ მუსიკაში: თავისი სულიერი განწყობილებების გადმოსაცემად იგი ხშირად მხედველობითს შეგრძნებათა ასოციაციებს ემყარება, მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჟანრისა და პეიზაჟის ამსახველ ეპიზოდებს. ა. ბალანჩივაძის პეიზაჟური ლირიკის ნიმუშებს შორის განსაკუთრებით მომხიბლავია აკვარელის სინაზით აღბეჭდილი, ჰაერითა და სინათლით გამსჭვალული სიმფონიური ინტერმეცო „რიწის ტბა", საყოველთაოდ ცნობილი მესამე კონცერტის მეორე ნაწილი, „მთების გულის" საორკესტრო შესავალი, მეოთხე და მეხუთე კონცერტები, აქვე უნდა მოვიხსენიოთ მისი საორკესტრო სუიტათები: „ზღვა", „დნეპრი". ახლახან კი კომპოზიტორმა შექმნა მეოთხე სიმფონია, რომელსაც „ტყის სიმფონია" უწოდა.

ანდრია ბალანჩივაძის სახელი თანამედროვე მუსიკალურ ცხოვრებასთან დაკავშირებულია არა მარტო შემოქმედებით, არამედ უაღრესად ნაყოფიერი და ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობითაც — თავისი გამოჩენილი მოწაფეებით და სულიერი მემკვიდრეებით, მას დიდი დამსახურება მიუძღვის ახალგაზრდა კომპოზიტორთა აღზრდის საქმეში. ა. ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით მრავალმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ გაიკაფა გზა შემოქმედებითს სარბიელზე. ამავე დროს ა. ბალანჩივაძემ დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის საქმიანობაში, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში სათავეში ედგა როგორც გამგეობის თავმჯდომარე.

ა. ბალანჩივაძის სახელი კარგა ხანია გასცილდა მისი სამშობლოს საზღვრებს. თავისი რიგიული ქმნილებებით მან შორს გაუთქვა სახელი ქართულ საბჭოთა მუსიკას, ხოლო ხანგრძლივი შემოქმედებითი, პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობით დიდი ამაგი დასდო ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებას.

**ლადო დონაძე.**



*მიესალმებიან, ულოცავენ*

● **ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ** ბატონო ანდრია, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის სამდივნო გულითადად გილოცავთ თქვენ — საბჭოთა მუსიკალური კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეს, გამოჩენილ კომპოზიტორს იუბილეს — დაბადების 80 წლისთავს და სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდების მონიჭებას. თქვენმა შთაგონებულმა შემოქმედებამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საბჭოთა მუსიკის განვითარებაში, ფართოდ გახდა ცნობილი ჩვენს ქვეყანამიც და შორს, მის ფარგლებს გარეთაც. თქვენმა დაუცხრომელმა საზოგადოებრივ-მუსიკალურმა მოღვაწეობამ უდიდესი ავტორიტეტი და პატივისცემა მოგიხვეჭეს კოლეგებში და მუსიკალური ხელოვნების მოყვარულთა ფართო წრეში. გისურვებთ ჯანმრთელობას, დაუშრეტელ ენერგიას, ახალ შემოქმედებითს მიღწევებს საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარების საკეთილდღეოდ.

**ᲑᲠᲔᲜᲘᲩᲝᲕᲘ, ᲙᲝᲡᲐᲩᲝᲕᲘ, ᲞᲐᲮᲛᲣᲢᲝᲕᲐ, ᲞᲝᲞᲝᲕᲘ, ᲡᲞᲘᲠᲘᲓᲝᲕᲘ, ᲡᲕᲔᲚᲐᲜᲝᲕᲘ, ᲒᲠᲘᲜᲩᲘᲔᲕᲘ, ᲤᲚᲘᲐᲠᲙᲝᲕᲡᲙᲘ, ᲮᲐᲩᲐᲢᲣᲠᲘᲐᲜᲘ, ᲨᲝᲚᲛᲘᲜᲝᲕᲘ, ᲔᲨ�პᲐᲘ, ᲩᲐᲘᲙᲝᲕᲡᲙᲘ, ᲞᲐᲜᲩᲘᲩᲙᲝ.**

● **ᲩᲔᲛᲘ** ძვირფასო მეგობარო ანდრია, გულითადად გილოცავ სახელოვან იუბილეს და სულით და გულით გისურვებ მშვენიერ მუსიკოსს, ბრძენ, გულისხმიერ ადამიანს დღეგრძელობას, ახალ შემოქმედებითს სიხარულს, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

**გულწრფელად თქვენი ᲙᲐᲯᲐᲚᲔᲕᲡᲙᲘ.**

● **ᲛᲗᲝᲚᲘ** სულით და გულით გილოცავთ ძვირფას იუბილარს და უაღრესად გულწრფელ სალამს გითვლით.

**ᲛᲐᲘᲐ ᲞᲚᲘᲡᲔᲪᲙᲐᲘᲐ, ᲠᲝᲓᲘᲝᲜ ᲨᲩᲔᲓᲠᲘᲜᲘ.**

## ᲛᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲝᲠᲘᲢᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ

**ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ** კომპოზიტორთა პირველმა თაობამ მელიტონ ბალანჩივაძის, ზაქარია ფალიაშვილის, დიმიტრი არაყიშვილისა და ვიქტორ დოლიძის სახით ისტორიულად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეროვნული პროფესიული მუსიკის ნაყოფიერი მშენებლობის პროცესში. მათს მთავარ საზრუნავს შეადგენდა ვოკალური მუსიკა (სიმღერა, რომანსი, ოპერა, საგუნდო პიესები). მათს კვალზე ქართული მუსიკა ინტენსიური აღმავლობის გზას დაადგა, რაც დაკავშირებულია თანამედროვე უფროსი თაობის კომპოზიტორთა მრავალმხრივ მოღვაწეობასთან. მათ საგრძნობლად გაფართოვეს შემოქმედებითი ჩარჩოები, ტრადიციულ ჟანრებთან ერთად განავითარეს ინსტრუმენტული, საბალეტო, ორატორული და სხვა სახის მუსიკა, ამ პროცესში დაწინაურდა თავისთავადი ნიჭით, ინდივიდუალური ხელწერით და დიდი ოსტატობით გამორჩეული სახელოვანი სამეული ანდრია ბალანჩივაძის, შალვა მშველიძისა და ალექსი ჩაქვეტაიანის სახით. მათ მხატვრული მისწრაფებების თანამოზიარეებთან ერთად მრავალი სიძნელე გადალახეს, რის შედეგადაც თანამედროვე ქართულმა სამუსიკო ხელოვნებამ გზა გაიკაფა საკავშირო და მსოფლიო ასპარეზისაკენ.

ქართული მუსიკის პატრიარქს ანდრია ბალანჩივაძეს 80 წელი შეუსრულდა. მაგრამ შთაგონებული ხელოვანი წლების სიმძიმეს სრულებითაც არ გრძნობს. იგი ქალაქინდებურად აღსავსეა შემოქმედებითი გეგმებით, მაღალი მხატვრული იდეებით, მათი განხორციელების დაუოკებელი სურვილით.

ანდრია, პირველ ყოვლისა, ევროპული მასშტაბის დიდოსტატია. იგი არა მარტო იცნობს, არამედ ღრმად ერკვევა მრავალგვარ იდეურ-მხატვრულ მიმართულებაში, ძველ და თანამედროვე საკომპოზიციო ხერხებსა და მეთოდებში, შემოქმედებითად ითვისებს კლასიკოსთა ჯანსაღ ტრადიციებს და გამოჩენილ საბჭოთა კომპოზიტორთა მიღწევებს, ამასთან იგი დღენიადაგ ზრუნავს საკუთარი, წლების ნაძიღლზე შემუშავებული ბალანჩივაძისეული სტილის გაღრმავებასა და სრულყოფაზე.

ა. ბალანჩივაძე ავტორია ოთხი, შინაარსობრივად ერთმანეთისგან განსხვავებული სიმფონიისა, რომელთაგან მკვეთრად გამოირჩევა ქართულ მუსიკაში ამ ჟანრის ფუძემდებლური ქმნილება — პირველი სიმფონია (1944 წ.), შთაგონებული დიდი სამამულო ომის მრისხანე მოვლენებით. ამავე თემისადმი მიძღვნილი ს. პროკოფიევის, ნ. მიასკოვსკის და განსაკუთრებით დ. შოსტაკოვიჩის მეშვიდე („ლენინგრადის") სიმფონიის გვერდით სრული უფლებით შეიძლება დაეთმოთ საბჭოთა ადგილი ბალანჩივაძის პირველ სიმფონიას.

ანდრია ბალანჩივაძე როიალის დაკვრის ხელოვნებას ლენინგრადის კონსერვატორიაში პროფესორ მარიამ იუდინას ხელძღვანელობით უფლებობდა. იგი დღესაც გატაცებულია ამ კეთილშობილური საკრავით, რომლისთვისაც მას შექმნილი აქვს მრავალი პიესა. მათ შორის გამოირჩევა შუქმოელვარე საფორტეპიანო კონცერტი № 3 სიმებიანი ორკესტრის თანხლებით. იგი გათვალისწინებულია ნორჩი პიანისტისათვის, ოაგრამ ამ ნაწარმოებს ღრმა შემეცნებითი მნიშვნელობაც აქვს: მსმენელი, უდიტორია მას შეაყვარებ ბავშვის თავისებურ სულიერ სამყაროში, გვაცნობს და გადმოსცემს მას ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, სკულპტურულად გამოკვეთილი მხატვრული სახეებით. მხოლოდ ჭეშმარიტად კეთილშობილ, ალალ-მართალ ხელოვანს შეეძლო ასეთი უშეალოებით გამორჩეული პიესის შექმნა. შენთხვეევთი როდია, რომ მესამე საფორტეპიანო კონცერტი 12-ჯერ გამოიცა საბჭოთა კავშირში და უცხოეთშიც საყოველთაო მოწონება დიმსახურა.

ბევრჯერ მომისმენია ანდრიას სიმფონიების შესრულება სხვადასხვა დირიჟორის მიერ, მაგრამ დაუვიწყარია მისი გამოსვლები როგორც საკუთარი ნაწარმოებების შემსრულებლისა, სწორედ ამ დროს, სადირიჟორო პულტთან მდგომი ანდრია მთლიანად ამჟღავნებს თავის დიდ მუსიკოსობას, არტისტულ ტემპერამენტსა და მხურვალე ემოციურობას. მოვიხმარ ულვარ ხოლმე მისი დარბაისლური საუბრით, რომელშიც იგრძნობა ცხოვრებისეული სიბრძნე, მუსიკალური ესთეტიკის უნიშვნელოვანეს პრობლემათა ფლობა, ამასთან მას ახასიათებს წმინდა იმორული მახვილსიტყვაობა და იუმორი.

ქართულ მუსიკაში ახალი გზების გამკაფველი ხელოვანი-ნოვატორი მჭიდროდ არის დაკავშირებული მშობლიურ სამუსიკო ფოლკლორთან, რომლის ნიმუშებს ადრევე პირველად იყენებს თავის შემოქმედებაში ოსტატურად გადამუშავებული და განვითარებული სახით. სწორედ ეს ეროვნულობაა ანდრია ბალანჩივაძის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისა და შეუნელებელი პოპულარობის საწინდარი.

**ᲙᲐᲕᲚᲔ ᲮᲣᲐᲨᲣᲐ.**

## ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ ᲣᲐᲜᲒᲐᲠᲝ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

**ᲠᲐ** არის შემოქმედება? ვინ არის შემოქმედი?

შემოქმედი არის ერის სულიერი და პოტენციური რაობის გამომსახველი, ხალხის ბედის მესაიდუმლე, ერის ნიშან-თვისებათა ღრმად, ნათლად, თამამად და ძლიერად გამომხატველი. და არა მარტო თავისი ერისა, არამედ კაცობრიობის ფიქრისა, ოცნებისა და სწრაფვის, ადამიანურ სურვილთა თითქოსდა უმნიშვნელო ნიუანსების აღმნიშვნელიც.

ნიჭიერი, ღირსეული პიროვნებებით, დიდი შემოქმედებისათვის თავდადებული ადამიანებით განიზომება ერის კულტურა.

ანდრია ბალანჩივაძე ჭეშმარიტი შემოქმედია. მან შეძლო განეზოგადებინა მისი ერისა და დროის პოტენციური ძალა თავის საკუთარ შემოქმედებაში!

ნათქვამია: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოხატეო". საოცრად მდიდარი და კეთილი ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, ახალი ქართული მუსიკის პიონერის მელიტონ ბალანჩივაძის ოჯახი. მისი უფროსი ვაჟიშვილი გიორგი ბალანჩივაძე, მსოფლიოში სახელგანთქმული ჯორჯ ბალანჩინი, ქორეოგრაფიული ხელოვნების დიდოსტატი, ამერიკული ბალეტის ფუძემდებლად და მამად წოდებული, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე და კლასიკური ბალეტის განვითარებაში, მომდევნო ანდრია ბალანჩივაძე ხომ ქართული და მთელი საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების მშვენებაა, მათი და — თამარ ბალანჩივაძე, ნიჭიერი მხატვარი ხელოვანი, რომელმაც ვერ გაუძლო ლენინგრადის ბლოკადას და დაიღუპა. ანდრიას შვილები: ამირანი ფიზიკოსია, ცისკარა — ჩინებული მოცეკვავე, რომელიც წლების განმავლობაში ამშვენებდა ქართულ საბჭოურ საბალეტო სცენას; ჯარჯი ბალანჩივაძე — მუსიკოს-შემსრულებელი, ორგანისტი, პრობლემები" (მეურნეობრიობის ახალი მეთოდების დანერგვის შედეგები). 11.30 — „კინოფიშა". 12.00 — ხალხური შემოქმედება. „სამეფოს შესწავლა" (გაკვეთილს უძღვება რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. ქევზიშვილი). 12.30 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. მეოთხედფინალი. 14.00 — საკვირაო გამოფენა. 14.05 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 14.35— „მღერიან ომის ვეტერანები". 15.25 — „ვესტნიკი". 15.55 — საკვირაო გამოფენა. 16.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მარსის მინდორის ხსოვნა" 16.10 — „უკრავს ლიანა ისაკაძე". 17.00 — „თბილისი და თბილისელები". 17.35 — საკვირაო გამოფენა. 17.45 — გ. ყანჩელი. „სევდა ნათელი" (მუსიკა ბავშვთა გუნდის, სოლისტებისა და ორკესტრისათვის) (მ.). 18.25 — „მხედრული დიდება". 19.05 — „აქტუალური ეკრანი" (ეკონომიკა ყველა ჩვენგანის საზრუნავია). 19.25 — მოამშე. 20.00 — ფეხბურთი. თბილისის „დინამო" — ოდესის „ჩერნომორეცი". რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან. შესვენების დროს (20.45) — „ზღაპრის გუდა". 22.00 — „ვრემია". 22.45 — ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის დღიური (მ.). 23.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. მეოთხედფინალი.

## ᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ**

22 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

**პირველი პროგრამა.** 9.00 — „ვრემია". 9.40 — რიტმული ტანვარჯიში. 10.10 — კინოჟურნალი „პიონერია". 10.20 — სპორტლოტო. 10.30 — მაღვიძარა. 11.00 — ვემსაუბრები საბჭოთა კავშირს! 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. მეოთხედფინალი. გფრ-მექსიკა. 14.00 — სოფლის საათი. 15.00 — შეხვედრები საბჭოეთში. 15.15 — მუსიკალური კოსმოსი. 15.45 — მოგზაურთა კლუბი. 16.45 — ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსის დღიური. 17.40 — „სსრ კავშირის სახფილმფონდის მასალები". კინოპროგრამა. „საბრძოლო კინოკრებულები". 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — თქვენთვის, ვეტერანებო! 20.30 — მხატვრული ფილმი „წყარო". 22.00 — „ვრემია". 22.45 — ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დღიური. 23.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. მეოთხედფინალი. არგენტინა-ინგლისი.

**მეორე პროგრამა.** 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.30 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. მეოთხედფინალი. ბრაზილია-საფრანგეთი. 11.00 — დ. შოსტაკოვიჩი. მე-7 სიმფონია. 12.25 — რუსული მეტყველება. 12.55 — უკრაინის ტელევიზიის პროგრამა. 14.25 — ფილმი — ბავშვებს. 15.35 — ვვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 16.05 — „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია". მეთორმეტე სერია. 17.10 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 17.45 — ვია ვანჩელის ნაწარმოებები. 18.25 — ცურვა. 18.50 — ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსი. 19.50 — „თანამედროვენი". გადაცემა ახალგაზრდობისათვის. 20.25 — რეკლამა. 20.30 — ცხენსასნობა. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო". 21.15 — ძმელეოსნობა. 22.00 — „ვრემია". 22.45 — სათავგადასავლო ფილმის ეკრანი. „მათ მხოლოდ სახით იცნობდნენ".

## ᲝᲥᲘᲢᲘᲡᲘ

22 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

**პირველი პროგრამა.** 9.00 — „ვრემია". 9.35 — მოამშე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — დილის გასართობი პროგრამა. 10.55 — „საკვირაო გამოფენა". 11.00 — მოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა. „სამეურნეო მექანიზმი — სიახლეები, ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲡᲐᲜᲘ, ᲠᲝᲓᲘᲝᲜ ᲨᲩᲔᲓᲠᲘᲜᲘ.

## ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ

21 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

### ᲐᲞᲐᲠᲗᲰᲘᲓᲘᲡ — ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝ ᲒᲝᲯᲮᲘ!

**დამთავრდა რასისტული სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ სანქციების მსოფლიო კონფერენცია.**

**პარიზი.** იუნესკოს შტაბ-ბინაში დამთავრდა რასისტული სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ სანქციების მსოფლიო კონფერენცია. იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილების შესაბამისად მოაწყვეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარტეიდის წინააღმდეგ სპეციალურმა კომიტეტმა, მიუმხრობელი ქვეყნების მოძრაობამ და აფრიკის ერთობის ორგანიზაციამ. ფორუმს მონაწილეებმა მიიღეს დასკვნითი დოკუმენტი — კონფერენციის დეკლარაცია.

მასში მკაცრად არის გაკრიტიკებული შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების პოზიცია, რომლებიც, გამოიყენეს რა ვეტოს უფლება, ხელს უშლიან ნასხლოინი რეჟიმის წინააღმდეგ საყოველთაო და სავალდებულო სანქციების შემოღებას.

● ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ

### ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

**მადრიდი. ესპანეთში დამთავრდა საარჩევნო კამპანია. 22 ივნისს გაიმართება პარლამენტის არჩევნები. ხმის უფლების მქონე 29 მილიონამდე ესპანელი მივა საარჩევნო ყუთებთან, რათა აირჩიოს გენერალური კორტესის (პარლამენტის) ახალი შემადგენლობა.**

დეპუტატთა კონგრესისა და სენატის 560 ადგილზე პრეტენდენტია სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის 6.500 კანდიდატი. ამავე დროს გაიმართება ავტონომიური არჩევნები ანდალუსიის პროვინციაში. მმართველმა ესპანეთის სოციალისტურმა მუშათა პარტიამ მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე წამოაყენა ფელიპე გონსალესი. სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების კონკრეტული პროგრამა წამოაყენეს და შშვიდობისა და ნეიტრალიტეტის პოლიტიკას მხარს უჭერენ „ერთიანი მემარცხენეები" — არჩევნებისწინა კავშირი, რომელიც შვიდ მემარცხენე პარტიას აერთიანებს.

● ᲙᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

### ᲨᲔᲘᲠᲧᲠᲔᲡ 